ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანა მესხი

ონლაინ მედია, როგორც საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის ინსტრუმენტი

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ნათია კუპრაშვილი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2018

ანოტაცია

ონლაინ მედია, როგორც საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის ინსტრუმენტი

დღევანდელ რეალობაში ომის წარმოების კონცეფცია თვისებრივად შეცვლილია. ინფორმაციულ ეპოქაში ძალიან მნიშვნელოვანია ფლობდე ინფორმაციას სამიზნე აუდიტორიის განწყობებისა და დამოკიდებულებების შესახებ. თანამედროვე მსოფლიოში ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მოსახლეობის მართვა და მანიპულირება ინფორმაციული ომის მეშვეობით ხორციელდება, რომლის მიზანიც რწმენისა და ღირებულებით სისტემაზე გავლენის მოხდენაა. სწორედ თანამედროვე მედიის როლსა და საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომს ეხება აღნიშული ნაშრომი. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია დეზინფორმაციის გავრცელების მეთოდებზე და მასთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის მიერ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებზე. ნაშრომის მიზანია იმის განაზღვრა, თუ რა გავლენა აქვს საქართველოს წინააღმდეგ გავრცელებულ პროპაგანდას საზოგადოებაზე, ასევე იმ აქტორის ნათლად გამოკვეთა, რომელიც ყველაზე ხშირად ბომბავს ქართულ მხარეს დეზინფორმაციული მესიჯებით და მისი მოქმედების ძირითადი მოტივის დადგენა.

ამასთანავე, ნაშრომის მიზანია საქართველოს მედიალანდშაფტის კვლევა, როგორც საკანონმდებლო რეგულაციების, ისე თვითრეგულირების მექანიზმების მხრივ. ასევე, მსოფლიოში მიმდინარე პერმანენტული ჰიბრიდული ომის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და კერძოდ, იმ სამთავრობო უწყებების როლის განსაზღვრა, რომლებიც ქვეყნის ინფორმაციულ უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი.

ჟურნალისტებთან, მედია ექსპერტებთან, უსაფრთხოების სფეროსა და სხვადასხვა პროფილით მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე, დადგინდა, რომ ქართული მედია საშუალებები, განსაკუთრებით კი ონლაინ მედია, ხშირად ხდება დეზინფორმაციის გავრცელების არეალი. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოკითხულ ექსპერტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ეროვნული

ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს ამ პროცესის რეგულირება ისე, რომ არ შეიზღუდოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. მასობრივი კომუნიკაციების სფეროში არსებული კანონმდებლობის ლიბერალური ხასიათიდან გამომიდნარე, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, მედია საშუალებების გარკვეულწილად შეზღუდვაც კი დაუშვებელია. ონლაინ მედიის შემთხვევაში პრობლემება კიდევ უფრო რთულდება და განსხვავებული პოლიტიკის დაგეგმვის საჭიროება იკვეთება, რადგან ინფორმაციის ნაკადის კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია.

კვლევის ფარგლებში, საქართველოში გავრცელებული დეზინფორმაციისადმი რამდენიმე მოწყვლადი ჯგუფიც გამოვლინდა, რომელთა მიმართებაშიც სრულიად განსხვავებული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. საერთო ჯამში, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით საქართველოს მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს, რისი მიზეზიც ის ძირითადი ხარვეზებია, რომელთაც განათლების სისტემიდან დაწყებული უსაფრთხოების სფეროთი დამთავრებული, სახელმწიფო პოლიტიკის არაერთ ეტაპზე ვხვდებით.

Annotation

Online media, as a tool of information warfare against Georgia

In today's reality, the concept of creating a war is changed. In the information age it is very important to know the information about the moods and dependencies of target audiences. In the modern world, management and manipulation of one state by another state is carried out through information warfare, the purpose of which is to influence the system of trust and values. This report deals with the role of modern media and information warfare against Georgia. In particular, attention is paid to methods of disseminating disinformation and eliminating the dangers associated with them, the concrete steps of the country. The aim of the report is to determine the impact of propaganda against Georgia on the community, including a clear definition of the actor, who most often blasts the Georgian side with disinformation messages and determines the main motive for his actions.

In addition, the aim of the report is to study the media landscape of Georgia, both on the part of legislative regulations and self-regulatory mechanisms. Also, given the permanent hybrid wars in the world, it is important to define the states, and in particular, the roles of those government agencies that are responsible for the informational security of the country.

On the basis of interviews with journalists, media experts, with the security sector and representatives of the non-governmental sector in different profiles, it was determined that the Georgian media, especially online media, often becomes an area for disseminating disinformation. In this regard, most of the interviewed experts believe that here, on national interests, the state should regulate these processes so as not to restrict freedom of speech and expression. In the field of mass communications, due to the liberal nature of this legislation, within the framework of the fight against misinformation, media limitations are not allowed. In the case of media online, the problem becomes even more complicated and the scheduling of other policies is determined, because the control of the flow of information is practically impossible.

Within the framework of the research, several new groups emerged to disinformation, spreading to Georgia, in the directions of which it is absolutely necessary to make absolutely different steps.

In general, as a result of the research, it was determined that the information security of Georgia has important problems caused by the main mistakes that we encounter at several stages of the state policy, from the education system to the security sphere.

სარჩევი

შესავალი 8

I თავი - 21-ე საუკუნის გამოწვევა - "პერმანენტული ჰიბრიდული ომი" 21

1.1 საინფორმაცი ომი, როგორც ჰიბრიდული ომის შემადგენელი კომპონენტი 23

1.2 კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის მნიშვნელობა საინფორმაციო ომის პირობებში24

II თავი - საქართველოს მედიალანდშაფტი 27

2.1 არასამთავრობო და მედია ორგანიზაციები დეზინფორმაციის წინააღმდეგ 28

2.2. მედიაწიგნიერება - დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი 29

2.3 მედიის თავისუფლების ინდექსი საქართველოში 31

2.4 არაქართულენოვანი მედიასაშულებების როლი 32

III თავი - სამართლებრივი რეგულაციები ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში ... 34

IV თავი - ონლაინ მედიაში გავრცელებული ყალბი/ცრუ ინფორმაციის იდენტიფიცირების მექანიზმები 37

V თავი - ონლაინ სივრცეში წარმოებული საინფორმაციო ომი (2008 და 2018 წლების მაგალითზე) 41

5.1 რუსეთის ფედერაცია - მთავარი აქტორი საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფრომაციო ომის პირობები 41

5.2 სოციალური მედიის როლი რუსული დეიზნფორმაციის პირობებში 45

VI თავი - სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები 48

6.1 სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზიების მართვის საბჭოს გაუქმება და მისი სამომავლო შედეგები 48

6.2 საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე, უშიშროების საბჭოს გაუქმება 51

დასკვნა 56

რეკომენდაციები 59

ბიბლიოგრაფია 62

შესავალი

პრობლემის აქტუალობა თანამედროვე ეპოქაში, სადაც ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება, კონფლიქტის ახალი მეთოდების გამოჩენა მოულოდნელი არ არის. 21-ე საუკუნეში, რომელსაც ხშირად „ინფორმაციულ საუკუნედაც“ იხსენიებენ, ინფორმაციის გავრცელება გავლენის მოხდენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. აღნიშნული გარემოების უკეთესად წარმოსაჩენად, დროთა განმავლობაში, საერთაშორისო საზოგადოებაში ტერმინი „ინფორმაციული ომი“ ან „საინფორმაციო ომი“ დამკვიდრა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ტერმინი “საინფორმაციო ომი” განმარტებულია, როგორც “საინფორმაციო უპირატესობის მოპოვების მიზნით მოწინააღმდეგის ინფორმაციაზე, ინფორმაციის დამუშავების პროცესზე და საინფორმაციო საშუალებებზე ზეგავლენის მოხდენა, იმავდროულად საკუთარი საინფორმაციო სისტემების დაცვა მოწინააღმდეგის მხრიდან მსგავსი ქმედებებისგან” (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ „საინფორმაციო ომი“ გულისხმობს როგორც მედია საშუალებების მიერ წარმოებულ პროპაგანდას, ისე სხვა სუბიექტების მიერ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე შეტევას. დაპირისპირების ფორმას, რომლის დროსაც ქმედებები მედია საშუალებების წინააღმდეგ ხორციელდება, „კიბერ ომსაც“ უწოდებენ ხოლმე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოსახლეობაზე გავლენის მოხდენის მიზნით, მედია, განსაკუთრებით კი ონლაინ მედია, არაერთხელ გამხდარა კიბერ თავდასხმის მსხვერპლი. BBC-ის ინფორმაციით, 2017 წლის მაისის თვეში, მსოფლიოს არაერთი სახელმწიფო გახდა კიბერთავდასხმის ობიექტი. კიბერშეტევა 99 ქვეყანაში განხორციელდა, მათ შორის დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, ჩინეთში, რუსეთში, ესპანეთში, იტალიასა და საქართველოში. როგორც BBC იუწყებოდა, თავდამსხმელებს ეს ქვეყნები შემთხვევით არ ჰქონდათ შერჩეული და მათ სწორედ ამ ქვეყნებში კონკრეტული სფეროების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება სურდათ (BBC, 2017). უშუალოდ მედია საშუალებებიც ხშირად იყენებენ საკუთარ რესურსს სასურველი ნარატივების გასავრცელებლად. აქედან გამომდინარე, პროპაგანდასა და დეზინფორმაციას

მედიასივრცის საკმაოდ დიდი ნაწილი უკავია. სხვადასხვა სახელმწიფოში საინფორმაციო ომის წარმოების სხვადასხვა მეთოდი და ტაქტიკა შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მიზანი ყველას ერთი აქვს - პოლიტიკური გავლენის და უპირატესობის მოპოვება.

როგორც უკვე აღინიშნა, "საინფორმაციო ომი" არც საქართელოსთვის არის უცხო. ქვეყანა არაერთხელ გამხდარა კიბერ შეტევის მსხვერპლი, რომლის დროსაც სხვა სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი ჯგუფის მიერ რომელიმე მედია საშუალების ან სამთავრობო უწყების ვებ-გვერდზე მომხდარა უნებართვო შეღწევა, მისი გათიშვა ან სასურველი მესიჯების გავრცელება. გარდა კიბერ შეტევებისა, "საინფორმაციო ომში" ქართული მედიები საკუთარი სურვილითაც ერთვებიან. ქვეყნის მასშტაბით, არსებობს არაერთი მედია ორგანიზაცია, რომელიც პროპაგანდასა და დეზინფორმაციას სარედაქციო პოლიტიკის შესაბამისად, აქტიურად ავრცელებს.

თანამედროვე საქართველოში მედიის გარდა ინფორმაციული ომის წარმოების საშუალებებია პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური დაჯგუფებები და სხვა. აქედან გამომიდინარე, საინფორმაციო შეტევა სცდება მედიის საზღვრებს და დიპლომატიურ, პოლიტიკურ სივრცეს თუ სამოქალაქო საზოგადოებასაც მოიცავს.

კვლევის საგანი

საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომი.

ყალბი ინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელება საქართველოში ძირითადად, ანტიდასავლური განწყობების შექმნას და პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილების მცდელობას უკავშირდება. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ქართულ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთი მთავარი იარაღი - ინფორმაცია, საკმაოდ წარმატებით გამოიყენება რუსეთის ფედერაციის მიერ (ავალიშვილი, ლომთაძე, & ქევხიშვილი, 2016). უკანასკნელი წლების განმავლობაში, საქართველოსთვის თვისობრივად ახალი პრობლემა - კრემლის საინფორმაციო ომი ჩამოყალიბდა, რომელიც გადაჭრის ახალ გზებს საჭიროებს. პროპაგანდისა და ცრუ ინფორმაციის გავრცელებას კონკრეტული მიზნები აქვს, საქართველოს შემთხვევაში კი რუსული დეზინფორმაცია სავარაუდოდ

ანტიდასავლური განწყობების გასაძლიერებლად, ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის შესაფერხებლად და საზოგადოებაში შიშისა და დაძაბულობის შესაქმნელად გამოიყენება.

კვლევის ობიექტები

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ონლაინ მედია, რომელიც ვებ-გვერდებს, ონლაინ გამოცემებსა და ინტერნეტ მაუწყებლობას გულისხმობს.

საინფორმაციო ომის ძირითად საყრდენად მაინც მედია საშუალებები მიიჩნევა, განსაკურებით კი რამდენიმე ბეჭდური გამოცემა, ვებ-გვერდი, ტელევიზია და ინტერნეტ-ტელევიზია. მედია სწორედ ის იარაღია, რომლის საშუალებითაც ყველაზე მარტივად ხდება აუდიტორიის დამოკიდებულებების და განწყობების ფორმირება. თანამედროვე მსოფლიოში კი ონლაინ მედიის როლი და გავლენა სულ უფრო მეტად იზრდება. ეს უკანასკნელი ახალი ამბებისა და ინფორმაციის მიღების ალტერნატიული გზაა, რომლის საშუალებითაც ინფორმაციის მოძრაობის ციკლი სულ უფრო მეტად ჩქარდება.

Freedom House-ის 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში გაზრდილია ინტერნეტის თავისუფლების მაჩვენებელი, ხოლო გასულ წლებთან შედარებით კი შემცირებულია ინტერნეტთან წვდომის შემაფერხებელი ფაქტორები. თუ 2009 წელს Freedom House-ის მონაცემებით, მოსახლეობის მხოლოდ 20% ჰქონდა ინტერნეტთან წვდომა, 2017 წლისთის ეს მაჩვენებლები 45%-მდე არის გაზრდილი (Freedom House, 2016). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ონლაინ მედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია აუდიტორიის სულ უფრო დიდ ნაწილამდე აღწევს და შესაბამისად, მისი გავლენაც იზრდება.

კვლევის მიზანი

საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომში ონლაინ მედიის როლის განსაზღვრა და იმ საფრთხეების წარმოჩენა, რომლებიც თან სდევს აღნიშნულ პროცესს.

კვლევის კითხვები:

1) რა როლი აკისრია მედიას საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის პირობებში?

2) რამდენად ხშირად ვრცელდება ონლაინ მედიის საშუალებით დეზინფორმაცია?

3) რა გავლენას ახდენს მედიის მიერ გავრცელებული პროპაგანდა ქართულ საზოგადოებაზე?

4) ძირითადად, რომელი აქტორები აწარმოებენ საინფორმაციო ომს საქართველოს წინააღმდეგ?

5) რა ძირითადი მიზნი აქვს საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომს?

6) რა როლი აკისრია სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებს საინფორმაციო ომის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შემუშავების პროცესში?

კვლევის მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, რესპონდენტების გამოკითხვა სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით მოხდა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მედიაექსპერტების, სამთავრობო და არასამთავრობო უწყებათა წარმომადგენლების, ჟურნალისტების და საერთაშორისო ექსპერტების გამოკითხვა. ასევე, თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, მოხდა ფოკუს-ჯგუფების ჩატარება, რომლის დროსაც ერთდორულად 5-7 რესპონდენტთან გასაუბრება იყო შესაძლებელი. ფოკუს-ჯგუფების ფარგლებში გამოიკითხნენ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები. გარდა ამისა, გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდის ერთ-ერთი ფორმა - ანკეტირება, რომლის მეშვეობითაც მიღებულ იქნა განსაზღვრული რაოდენობრივი მონაცემები და

მათი საშუალებით დადგინდა, თუ რა სახის დეზინფორმაცია ვრცელდება და რამდენად დიდი გავლენა აქვს მას საზოგადოებაზე.

შერჩევა

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა შერჩევის არაალბათური/დეტერმინირებული მეთოდის სახეები. მედიაექსპერტების, პოლიტიკოსებისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრების გამოკითხვა მიზნობრივი მეთოდის გამოყენებით მოხდა, რაც წინასწარ განსაზღვრული რესპონდენტების გამოკითხვას გულსიხმობდა. რესპონდენტთა დანარჩენი ნაწილის - ჟურნალისტების, სტუდენდების, გამოკითხვა კი თოვლის გუნდის მეთოდის და სტრატიფიცირებული შერჩევის საფუძველზე განხორციელდა.

შერჩევის ჩარჩო

გამოკითხულ იქნა კომპანა "თი-ვი ემ-არ საქართველოს" რეიტინგების მიხედვით, ყველაზე რეიტინგული ტელევიზიის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემების მიხედვით, ყველაზე რეიტინგული რადიოსა და ონლაინ გამოცემების რეიტინგების მიხედვით, ყველაზე პოპულარული ონლაინ მედია საშუალებების ჟურნალისტები, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები, რომელთა GPA აღემატება 2,5-ს.

ცვლადების კონცეპტუალიზაცია

საინფორმაციო ომი - ამერიკული კონცეფციით აერთიანებს ელექტრონულ, კიბერ და ფსიქოლოგიურ ოპერაციებს ერთ საბრძოლო მექანიზმში. საინფორმაციო ომის მიზანია, ინფორმაციული წყაროების კონტროლით ან მათზე გავლენის მოხდენით, მოწინააღმდეგის დემორალიზაცია და დათრგუნვა.

ჰიბრიდული ომი - განიხილება, როგორც მოწინააღმდეგე მხარის დასუსტების მცდელობა და მისი პოზიციების შერყევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაძლოა ერთი მხარის ძლიერი ტექნოლოგიური შესაძლებლობებით მეორე მხარის სტრატეგიული ობიექტების საინფორმაციო და საკომუნიკაციო ქსელების განადუგრება ან დაზიანება.

მოცემულ ნაშრომში ჰიბრიდული ომი განიხილება, როგორც ომის აბსტრაქტული ფორმა, რომელიც თავისთავად მოიცავს საინფორმაციო ომს, თუმცა, ამას გარდა მას სამხედრო და პოლიტიკური დატვირთვაც აქვს.

პროპაგანდა - საინფორმაციო ომის შემადგენელი ნაწილია, რომელიც გულისხმობს საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენას ან საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას გარკვეული საკითხის, პიროვნების ან ჯგუფის მიმართ, რომელიც შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. მოცემულ ნაშრომში პროპაგანდა განხილულია ნეგატიური კუთხით, როგორც ცრუ და ყალბ ინფორმაციაზე დაყრდნობით საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, ასევე ძალადობის, ქსენოფობიის და რასიზმის ხელსემწყობი მექანიზმი.

დეზინფორმაცია - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ცრუ და ყალბი ინფორმაციის გავრცელებას გულისხმობს. მოცემულ ნაშრომში კი დეზინფორმაცია მედია საშალებების მიერ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის, მისი შეცდომაში შეყვანისა და მანიპულირების იარაღად წარმოჩინდება.

მედიაწიგნიერება - აუდიტორიის მიერ ინფორმაციის აღქმას, გააზრებას, ინტერპრეტირებას და მის კრიტიკულ ანალიზს გულისხმობს. თუმცა, მოცემულ ნაშრომში მედიაწიგნიერება არ განიხილება ცალმხრივად და ის, როგორც ინფორმაციის გამცემის (ჟურნალსტის), ისე მიმღების (აუდიტორიის) უმთავრეს კომპონენტად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, მედიაწიგნიერების კონცეფცია განიხილება, როგორც ერთი მხრივ, ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში ორიენტირების, ინფორმაციის გაფილტვრის და, მეორე მხრივ, ახალი ინფორმაციის/ცოდნის შექმნისა და გაზიარების ინსტრუმენტი.

ონლაინ მედია - გულისხმობს ცალკე აღებულ ინტერნეტგამოცემებს, ტრადიციული მედია საშუალებების ვებგვერდებსა და სოციალური მედიას. მოცემულ ნაშრომში ონლაინ მედია გულისხმობს ინტერნეტსივრცეში ინფორმაციის გავრცელების ნებისმიერ საშუალებას.

მედია გარემო - კანონმდებლობის გათვალისწინებით შექმნილი გარემო, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების საქმიანობას არეგულირებს. აღნიშნული ცნება

ასევე ითალისწინებს იმ ფაქტს, თუ რამდენად ხშირად ხდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიერ მედია საშუალებების საკუთარი ინტერესების შესაბამისად მართვა და ამასთანავე, სიტყვისა და გამოხატვის უფლების დაცვა თუ შეზღუდვა.

ლიტერატურის მიმოხილვა

საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში მედია საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან გავლენას ახდენს პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგზე, წვლილი შეაქვს პლურალისტური საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. თუმცა, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორები სიბერტი, პეტერსონი და შრამი სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურას მიიჩნევენ მასობრივი კომუნიკაციების განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად. ისინი აღნიშნავენ, რომ „მედია ყოველთვის იცვლის ფორმას და იღებს იმ სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების ელფერს, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება“ (Siebert, Peterson, & Schramm, 1956) ავტორები მედიის ფუნქციონირების ოთხ მეთოდს აყალიბებენ, რომელთაგან თითოეული კონკრეტული სოციალური სისტემის შესაბამისია:

1. ავტორიტარული მოდელი;

2. ლიბერტარიანული;

3. სოციალური პასუხისმგებლობის მოდელი;

4. საბჭოთა კომუნისტური მოდელი.

ავტორების თქმით, საბჭოთა კომუნისტური ავტორიტარული მოდელის, ხოლო სოციალური პასუხისმგებლობის კი ლიბერტარიანული მოდელის იდეების გაგრძელებაა. ავტორიტარული მოდელი ხელისუფლების უსიტყვო მორჩილებას გულისხმობს, სადაც ყველაზე დიდ ფასეულობას სახელმწიფო წარმოადგენს. მედიამ თავისი საქმიანობის ფარგლებში ზიანი არ უნდა მიაყენოს არსებულ ხელისუფლებას და გაბატონებული ძალის კრიტიკა განიხილება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

ავტორიტარული რეჟიმის მსგავსად, მასობრივი კომუნიკაციის საბჭოთა მოდელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე სახელმწიფოს მონოპოლიას, გასახელმწიფოებულ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას გულსიხმობს. ამ შემთხვევაში მედია გახლავთ ინსტრუმენტი სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის ხელში. საბჭოთა მოდელის მთავარი ფუნქცია კი ჟურნალისტური საქმიანობის პარტიული პრინციპების საფუძველზე განხორციელება და საზოგადოებისთვის სახელმწიფოსა და პარტიის ერთ მთლიანობად წარდგენაა (Siebert, Peterson, & Schramm, 1956).

ზემოთ აღნიშნულისგან განსხვავებით, ლიბერტარიანული მოდელი მედიის თავისუფალ საბაზრო პირობებში ფუნქციონირებას გულისხმობს. აღნიშნული მოდელი ავტორიტარულის საპირისპიროდ წარმოიშვა და ინფორმაციის თავისუფლად მოპოვება - გავრცელებას, ხელისუფლებისაგან კონტროლის, შეზღუდვების და ცენზურის არარსებობას გულისხმობს. ამ მოდელის განსაკუთრებულობა ისაა, რომ იგი ხელისუფლების საქმიანობაზე მედიის კონტროლს უზრუნველყოფს - მედია არის „დემოკრატიის სადარაჯოზე“. ლიბერატარიანული მოდელის განვითარების შედეგად კი XX საუკუნის 50 წლებში სოციალური პასუხისმგებლობის მოდელი წარმოიშვა (Siebert, Peterson, & Schramm, 1956).

დროთა განმავლობაში, მედიის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, მისი არა მხოლოდ ინფორმაციის გასავრცელებლად, არამედ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვის მიზნით, როგორც მთავარი ინსტრუმენტის გამოყენება დაიწყო. ფრანგი კულტუროლოგი ა. მოლი მიიჩნევდა, რომ სამყაროს შესახებ ადამიანების ცოდნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ყალიბდება. მისი თქმით, მედიის წარმომადგენლები არიან შუამავალნი საზოგადოების მაკრო და მიკრო ფენებს შორის. ის აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენის რამდენიმე მნიშვნელოვან მეთოდს უსვამდა ხაზს: დემაგოგიური, დოგმატური, კულტუროლოგიური და დინამიური დოქტრინები (Molly, 1973).

როგორც ირკვევა, მედიის გავლენის ზრდა მხოლოდ თანამედროვე მსოფლიოს არ უნდა დავუკავშიროთ, რადგან ჯ. კუკი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ დამფუძნებელი მამები

მთავრობებში მოქალაქეების უფლებების ჩახშობის არა დროებით ან იშვიათ, არამედ მუდმივ მიდრეკილებას ხედავდნენ. ისინი ენდობოდნენ სიტყვის თავისუფლებას, პრესის თავისუფლებას, რაც აზრთა თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას ახალისებდა, აწვდიდა ინფორმაციას ხალხს და აფრთხილებდა მათ მაშინ, როცა თავისუფლებას საიდანმე საფრთხე ემუქრებოდა (Jentleson, 2013).

სახელმწიფოები ერთმანეთისგან პოლიტიკური სისტემით განსხვავდებიან და შესაბამისად, განსხვავდება ამ ქვეყნებში არსებული მედია სისტემებიც. სწორედ აღნიშნულ სხვაობას უსვამენ ხაზს დ. ჰალინი და ფ. მანჩინი მასმედიის სამი ტიპის სისტემის განსაზღრის დროს. ისინი აღნიშნავენ, რომ მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, მედია სისტემები, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები, სხვადასხვა ქვეყანაში ისტორიულად განსხვავებული ფორმითა და ხასიათით ჩამოყალიბდა (Hallin & Mancini, 2004). ჰალინი და მანჩინი მედია სისტემების დასახასიათებლად გამოყოფენ ოთხ ძირითად კომპონენტს: მედია-ბაზრის განვითარების დონეს; მედია პარალელიზმს - ეს მოციავს როგორც მედიისა და პოლიტიკური პარტიების ურთიერთმიმართების სიმჭიდროვეს და ხასიათს, ასევე იმას, თუ რამდენად შეესაბამება მედია სისტემა საზოგადოებაში არსებულ სიღრმისეულ პოლიტიკურ დაყოფებს; ჟურნალისტიკის, როგორც პროფესიის განვითარების დონეს და მედია სისტემაში სახელმწიფოს ჩარევის ხასიათს.

ამ მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ავტორები გამოყოფენ სამი ტიპის მოდელს:

1)ხმელთაშუაზღვისპირა, ანუ პოლარული პლურალიზმის მოდელი;

2)ჩრდილო ცენტრალური ევროპის მოდელი, ანუ დემოკრატიულ-კორპორატივისტული მოდელი;

3)ჩრდილო ატლანტური, ანუ ლიბერალური მოდელი.

თითოეულ ზემოაღნშნულ მოდელში მედიები დამოუკიდებლობის გასნხვავებული ხარისხით სარგებლობენ. დ. ჰალინი და ფ. მანჩინი მედიის სამი სისტემის ინსტიტუციურ

თავისებურებებს კარგად უსადაგებენ სამ პოლიტიკური ტრადიციას: რესპუბლიკურს, ლიბერალურსა, დემოკრატიულს. პოლიტიკური კონფლიქტების დროს ხელისუფლების მხრიდან მედიის, როგორც ინსტრუმენტის გამოყენება ყველზე მოსალოდნელი პოლარული პლურალიზმის მოდელშია, რადგან ის ყველაზე პოლიტიზირებულია და პოლიტიკური ელიტების მიერ ამომრჩეველთა დარწმუნების მიზნით იმართება. ეს მოდელი ყველაზე მყარი და ძლიერია სწორედ იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან დემოკრატიის ნაკლებობას (Hallin & Mancini, 2004).

თუმცა, ამის საპირისპიროდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ქვეყნები, სადაც მედიასაშუალებები დამოუკიდებლობის იმ დოზით სარგებლობენ, რომ მათ მიმდინარე პროცესების არა მხოლოდ გაშუქება, არამედ მათზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენაც კი შეუძლიათ. ამას ადასტურებს რ. შროიდერი, რომელიც ამტკიცებს, რომ პოლიტიკური ელიტის დღის წესრიგს სწორედ მედიები განსაზღვრავენ. მისი აზრით, მედია ერთგვარი „გადამცემი ქამრის“ ფუნქციას ასრულებს, რომლის საშუალებითაც პოლიტიკური ლიდერებამდე აღწევს საზოგადოების ხმა და ხდება მათ მოთხოვნებზე რეაგირება (Schroeder, 2018).

ხშირად, როდესაც პოლიტიკურ პროცესებში და კერძოდ, კონფლიქტების დროს მედიის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, შეგვიძლია მისი მოქმედება აღვიქვათ არა როგორც ცალკეული პროცესი არამედ, როგორც ე.წ. ჰიბრიდული ომის ნაწილი. ჯ. ვიზერი აღნიშნავს, რომ „ჰიბრიდული ომი გახდა ყველაზე მისაღები ტერმინი 21-ე საუკუნის საფრთხეების კომპლექსურობის დასახასიათებლად, ის მოიცავს მრავალ აქტორს და ამასთანავე აქრობს განსხვავებას სხვადასხვა სახის სამხედრო ომებსა და თავად ომსა და მშვიდობას შორისაც“ (Wither, 2016). ფრანკ ჰოფმანი ჰიბრიდულ ომს განსაზღვრავს, როგორც „საფრთხეს, რომელიც აერთიანებს საომარი ქმედებების ფართო სპექტრს რეგულაურილი ძალების, არარეგულარული ტაქტიკების და ფორმირებების, ტერორისტული აქტების, ძალადობრივი ქმედებებისა და კრიმინალური აშლილობების გათვალისწინებით, რომელიც განხორციელებულია ორმხრივი ქმედებებით და სხვადასხვა სახის არასახელმწიფოებრივი აქტორების მონაწილეობით“ (Wither, 2016).

სწორედ ჰიბრიდული ომის ნაწილია „საინფორმაციო ომი“, რომელსაც რ. მოლანდერი, ე. რიდელი და პ. ვილსონი ახასიათებენ, როგორც „სტრატეგიულ ომს“. ისინი აღნიშნავენ, რომ ერები კიბერსივრცეს იმ მიზნით იყენებენ, რომ გავლენა მოახდინონ სტრატეგიულ სამხედრო ოპერაციებზე და ზიანი მიაყენონ ეროვნულ საინფორმაციო სტრუქტურებს (Molander, Riddile, & Wilson, 1996).

საერთაშორისო და ეროვნულ პოლტიკაში ინფრომაციის მნშვნელობის ზრდასთან ერთად გაიზარდა იმ მედიასაშუალებების რაოდენობა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ცნობიერებაზე. ბ. ჯენტლესონი მედიასთან დაკავშირებულ ცვლილებებს უსვამს ხაზს და აღნიშნავს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ახალ ამბებს ინტერნეტის საშუალებით გაცილებით მეტი ადამიანი იღებს და მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება. ჯენტელსონი აანალიზებს 2011 წელს აშშ-ში ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომელმაც აჩვენა, რომ ამერიკელთა 41% ახალ ამბებს ქვეყნის შიდა თუ საერთაშორისო პოლიტიკაზე ინტერნეტის საშუალებით ეცნობოდა. აქვე ხაზს უსვამს იმასაც, რომ ეს საკმაოდ დიდი რიცხია, რადგან ოთხი წლით ადრე იგი 24%-ს არ აღემატებოდა. მისი თქმით, აღნიშნული მონაცემები ახალგაზრდებში კიდევ უფრო მაღალია. 2007 წელს ახალგაზრდების 68% მიმდინარე მოვლენების გასაცნობად ტელევიზიას მიმართავდა, ხოლო ინტერნეტით ახალ ამბებს მხოლოდ 34% ეცნობოდა. აღნიშნული კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ონლაინ მედიის მნიშვნელობასა და მისი გავლენის მასშტაბურობას „საინფორმაციო ომის“ პირობებში. ჯენტელსონი ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტის ნიკ გოუინგის სიტყვებს იშველიებს, რომელიც აღნიშნულ განვითარებას მთავრობების „საინფორმაციო ბატონობის“ მსხვრევად აფასებს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ ისინი რეპრესიულ რეჟიმებს, რომლებსაც სურთ თავისი მოსახლეობა მოწყვიტონ გარე კომუნიკაციას, თუ დემოკრატიულ მთავრობებს, რომლებიც იძულებულები არიან უპასუხონ ზეწოლის ახალ დინამიკას (Jentleson, 2013)

21-ე საუკუნეში საინფორმაციო ომის საკმაოდ დიდი ნაწილი სოციალური მედიის საშუალებით ხორციელდება. როგორც ბ. ბაიალი აღნიშნავს, სოციალური მედიის ლანდშაფტი მცირე ადგილობრივი მომსახურებიდან იწყება და ძლიერ, გლობალური კომპანიებამდე ვითარდება. მისი თქმით, სოციალური მედიის მომხმარებელთა

რაოდენობის ზრდასთან და მისი მოხმარების ფორმის ცვლასთან ერთად, სოციალური მედია კომუნიკაციის სულ უფრო და უფრო კარგი საშუალება ხდება. დაბალი და ხელმისაწვდომი გადასახადი, სხვადასხვა სახის სამიზნე აუდიტორია, გლობალური წვდომა და ინფორმაციის გავრცელების უპრეცედენტო სისწრაფე - თითოეული ეს ფაქტორი სხვადასხვა აქტორს ხელს უწყობს სოციალური მედიის საკუთარი მიზნების შესაბამისად გამოყენებას (2017). ბ. ბაიალი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა და არასახელმწიფო აქტორებმა სოციალური მედიის ინტენსიურად გამოყენება მათი რწმენის, შეხედულებების და ქცევის შესაბამისად დაიწყეს. მისი თქმით, ახლო აღმოსავლეთისა და უკრაინის ბოლო დროის კონფლიქტები ცხადყოფს, რომ სოციალური მედია შეიძლება ძალიან კარგი საშუალება იყოს სამხედრო ოპერაციების მხარდასაჭერად. აღნიშნულის გათვალისწინებით, სოციალურ მედიას საინფორმაციო კონფრონტაციის ბრძოლის ველიც კი უწოდა (Biały, 2017).

ვ. გერასიმოვის სტატიაში კარგად ჩანს, ახალი ტიპის ომის იდეა, რომელიც სამხედრო მოქმედებებით არ ხასიათდება. მისი თქმით, თანამედროვე მსოფლიოში შეიცვალა ომის წესები და პოლიტიკური, ეკონომიკური თუ საინფორმაციო არხებით სრულიად შესაძლებელია წარმატებული სახელმწიფოც კი რამდენიმე თვეში ან დღეში შეიარაღებული კონფლიქტის არენად იქცეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბოლო დროინდელ კონფლიქტებში მედია ერთ-ერთ მთავარ იარაღს წარმოადგენს, განსაკუთრებით კი მან მნიშვნელოვანი როლი რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს შეასრულა. სწორედ რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებულ ქმედებებზე საუბრობს გერასიმოვი და ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯის დასაბუთებას ცდილობს. როგორც ის აღნიშნავს, რუსეთის ფედერაციის მთავარ მიზანს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივმოქმედი ფრონტის შექმნა წარმოადგენს. როგორც ირკვევა, თანამედროვე ომში სამხედრო მოქმედებები ფსიქოლოგიურმა და საინფორმაციო შეტევებმა ჩაანაცვლა. გერასიმოვის მსჯელობას პირდაპირ ესადაგება რუსეთის დაპირისპირება თავისუფალი სამყაროს ღირებულებებთან და იდეოლოგიასთან. როდესაც ვ. გერასიმოვი განიხილავს "პერმანენტული ომის" ცნებას, ეს შესაძლოა გამოიხატებოდეს რუსეთის მიერ სამხედრო ინტერვენციის გარეშე მეზობელი ქვეყნების

დასუსტების მცდელობაში, რადგანაც მშვიდობასა და ომს შორის ზღვარის წაშლა მას სტრატეგიული ამოცანების მიღწევაში ეხმარება (Mckew, 2017).

კრემლის საინფორმაციო ომი განსაკუთრებით 2014 წლიდან გაძლიერდა, სწორედ მაშინ, როდესაც რუსეთმა ყირიმის ოკუპაცია მოახდინა. ამ პერიოდიდან დაიწყო მასობრივი შეტევები უკრაინელ ჟურნალისტებზე და ყალბი ინფორმაციის მასშტაბური გავრცელების მცდელობა. დასავლეთმა კი მხოლოდ აღნიშნული გარემოების შემდეგ მოახდინა რუსული პროპაგანდის გაცილებით სერიოზულად აღქმა და მის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება (Mulford, 2016). ამერიკელი სამხედრო ექსპერტი ჯოშუა მალფორდი განიხილავს არასახელმწიფოებრივი აქტორების როლს რუსულ-უკრაინულ კონფლიქტში და აღნიშნავს, რომ ასეთი ავტოკრატიული რეჟიმისთვის მედიის კონტროლი უცხო არ არის. მისივე თქმით, რუსეთმა ტრადიციული არასახელმწიფოებრივი აქტორები სახელმწიფო ინსტრუმენტებად აქცია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა ეროვნული და საერთაშორისო აზროვნების ფორმირება (2016). პოლონელი სახელმწიფო უსაფრთხოების ექსპერტი იოლანტა დარჩევსკა კი ამტკიცებს, რომ ინფორმაციული ომების თეორიას რუსეთში საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს და ის არა რუსეთ-უკრაინის ომიდან, არამედ სპეც-პროპაგანდის თეორიიდან მომდინარეობს, რომელიც რუსეთის ფედერაციაში 1942 წლიდან არსებობს. ი. დარჩევსკა აღნიშნავს, რომ თეორია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში განვითარებულ კიბერუსაფრთხოებას უპირისპირდებოდა, რომელიც სამხედრო მოქმედებებისთვის უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას გულისხმობდა (Darczewska, 20014).

I თავი - 21-ე საუკუნის გამოწვევა - "პერმანენტული ჰიბრიდული ომი"

ცალკეულ შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, თანამედროვე მსოფლიოში ომი ტრადიციული გაგებით თითქმის აღარ არსებობს. სამხედრო თეორიებში განასხვავებენ ომის ორ სახეობას - კონვენციურს და არაკონვენციურს. კონვენციურია ომი, სადაც გამოყენებულია ბრძოლის ველის ტაქტიკა, მოწინააღმდეგე კარგად არის განსაზღვრული და ხდება მისი სმხედრო ძალის დასუსტება ან განადგურება. არაკონვენციური ომი კი ძირითადად, დარწმუნებაზე არის ორიენტირებული, რადგან ამ დროს მოწინააღმდეგისათვის ხდება რწმენის ჩანერგვა, რომ დანებების გარეშე მშვიდობა ვერ დაისადგურებს და ვერც უსაფრთხოება იქნება უზრუნველყოფილი. ამ ტიპის ომის მთავარი მიზანია, მოწინააღმეგეს შეაწყვეტინოს ბრძოლა, მაშინაც კი, როცა მას ამის საშუალებები აქვს. არაკონვენციურ ომში გამოყენებულ მეთოდებს მიეკუთვნება პარტიზანული ბრძოლები, პოლიტიკური მკვლელობები, დივერსიები, სახელმწიფო გადატრიალებები და სხვა. თუმცა, ომის აღნიშნული სახეობების გარდა, 21-ე საუკუნეში ჩნდება კიდევ ერთი ფორმა, რომელიც რეგულარული და არარეგულარული საშუალებების, ფარული და ღია მოქმედებების კომბინაციას წარმოადგენს. ეს ომის თანამედროვე ფორმაა, რომელიც უმთავრესად ფოკუსირებულია განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე ფიზიკური დაპირისპირების გარეშე. ამ დროს სტრატეგიული ამოცანების განსახორციელებლად მნიშვნელოვან როლს არასამხედრო საშუალებები ასრულებს, რათა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად სამხედრო საშუალებების გამოყენება არ გახდეს საჭირო (მგალობლიშვილი, ქუთელია, გურული, & ევგენიძე, 2016). როგორც ვ. გერასიმოვი აღნიშნავს, პლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მიღწევაში არასამხედრო საშუალებების როლი იმდენად გაიზარდა, რომ მათმა ეფექტურობამ იარაღის ძალასაც გადააჭარბა.

შესაძლოა ითქვას, რომ დღეს, ევროპული და ევრო-ატლანტიკური სტრუქტურების უმთავრეს გამოწვევას ჰიბრიდული ომი წარმოადგენს და ყველაზე ნაკლებად მომზადებულნი სწორედ მასთან დაკავშირებულ საფრთხეებს ხვდებიან. „ჰიბრიდული ომის საფრთხე ისტორიული გამოწვევაა, რომელიც ათასობით წელია არსებობს,

უბრალოდ დაძაბულობა სრულმასშტაბიან ომში არ გადაიზრდება. საჭიროა ვისწავლოთ, როგორ გავუმკლავდეთ მსგავს კრიზისებს. ეს არის გამოწვევა, რომელიც არა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროსა და შეირაღებული ძალების წინაშე დგას, არამედ მოიცავს სრულიად საზოგადოებას - პოლიციას, უსაფრთხოების სამსახურს, ეკონომიკურ მარეგულირებლებსა და სხვა აქტორებს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა - გადაწყვეტილების მიმღები თუ ოფიციალური პირები კარგად იყვნენ ინფორმირებულები და არსებობდეს უწყებათაშორისი კოორდინაცია. საჭიროა კარგად გვესმოდეს, რომ ეს არის მრავალმხრივი საფრთხე და უნდა შევიმუშავოთ მასთან ბრძოლის პროცედურები. საჭიროა საზოგადოებაც იყოს ინფორმირებული, რათა კარგად ესმოდეს, რომ მთავრობა მას და მის უფლებებს არ ზღუდავს. ამ გამოწვევის დამარცხება შესაძლებელია ძლიერი, ღია და თავისუფალი საზოგადოების მეშვეობით, რომელსაც შესწევს უნარი დაიცვას საკუთარი თავი" აღნიშნავს ატლანტიკური საბჭოს მკვლევარი, არიელ კოენი საქართველოში გამართულ თავდაცვისა და უსაფრთხოების ფორუმზე (2015). როგორც ჩანს, ჰიბრიდულ ომთან და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებთან ბრძოლა არა ერთი ცალკეული ქვეყნის, არამედ სხვადასხვა სახელმწიფოს ერთიანი ძალისხმების შედეგად უნდა დაიწყოს და რაც მთავარია, უწყებათაშორის კოორდინაციასთან ერთად სახელმწიფოთაშორისი კოორდინაციასაც უნდა შეეწყოს ხელი. მაგალითად, ევროკავშირს შემუშავებული აქვს ერთიანი თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკა (CSDP), რომელიც მუდმივად ვითარდება, განსაკუთრებით კი ჰიბრიდული საფრთხეების ზრდის ფონზე. ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე, ერვოკავშირის ქვეყნები ვალდებულები არიან ერთმანეთს გაუწიონ ურთიერთდახმარება იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარის მიერ თავდასხმის ან აგრესიის საფრთხე გაჩნდება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ხელშეკრულება "ერთიანი თავდაცვის" ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.

1.1 საინფორმაცი ომი, როგორც ჰიბრიდული ომის შემადგენელი კომპონენტი

ჰიბრიდული ომი საქართველოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს და შეიძლება ითქვას, რომ მისგან სოციალურ-პოლიტიკური სივრცე სრულიად დაუცველია. ქვეყანაში ჰიბრიდული ომის უმთავრეს ელემენტზე - „საინფორმაციო ომზე“ კეთდება აქცენტი, რადგან უკვე რამდენიმე წელია, რაც ქართული საზოგადოება დეზინფორმაციის ნაკადის გავლენის ქვეშ იმყოფება. ექსპერტების აზრით, არაერთი ფაქტი მიანიშნებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომი უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, მათი უმრავლესობა კი ქვეყნის უსაფრთხოების სამ ძირითად გამოწვევას შორის სწორედ საინფორმაციო ომს ასახელებს. მაგალითად, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ხატია ჯინჯიხაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომი ანტიდასავლური პროპაგანდის საინფორმაციო ნაკადებში მოხვედრას და სამოქალაქო სექტორზე გავლენის გაძლიერებას ემსახურება. მისი აზრით, საჭიროა გაძლიერდეს წყაროები, რომლებიც ობიექტურ ინფორმაციას ავრცელებენ და სწორ ნარატივებს ქმნიან. როგორც უკვე აღინიშნა, ჰიბრიდული ომი ადამიანების გავლენის ქვეშ მოქცევას სხვადასხვა არატრადიციული მეთოდით ცდილობს, ყველაზე ხშირად კი საინფორმაციო საშუალებების გამოყენება ხდება, რის გამოც „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე მედია ორგანიზაციების მნიშვნელობაზე საუბრობს - „გავცემთ გრანტებს, ვთანამშრომლობთ ქართულენოვან მედია ორგანიზაციებთან და ხელს ვუწყობთ ინფორმაციის ადეკვატურ და მიუკერძოებულ გაშუქებას, ასევე ვთანამშრომლობთ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობების ენაზე მაუწყებელ რამდენიმე ორგანიზაციასთან და ვცდილობთ მათ გაძლიერბას, რადგან ისინი გახდნენ არა სხვა ქვეყნის მიერ მართვადი მედია საშუალებები, არამედ სანდო ინფორმციის წყაროები” (ჯინჯიხაძე, 2018).

როგორც ჩანს, სამთავრობო უწყებების გარდა, ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ მედია და არასამთავრობო ორგანიზაციებიც მოქმედებენ, რომლებიც აქტიურად ცდილობენ თითოეული იმ დეზინფორმაციული ფაქტის იდენტიფიცირებას და აღმოფხვრას,

რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება და ხელს უშლის ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებას. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო აღნიშნული პრობლემის წინაშე ძალიან სუსტია, რასაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მხრიდან საქართველოს ინტერნეტ სივრცეზე მასიური კიბერშეტევის ფაქტებიც ადასტურებს. აგვისტოს ომის პერიოდში, რამდენიმე დღის განმავლობაში, პარალიზებული იყო სამთავრობო და კერძო სექტორის ვებ-გვერდები, რუსეთის მხრიდან მიმდინარეობდა საქართველოს მედია საშუალებების და სამთავრობო არხების ბლოკადაში მოქცევა, დეზინფომაციის გავრცელების და პანიკის დანერგვის მიზნით. ამ პერიოდში, საერთო ჯამში, ქართული სამთავრობო არხებისა და მედიასაშუალებების 90%-ის ბლოკირება განხორციელდა.

1.2 კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის მნიშვნელობა საინფორმაციო ომის პირობებში

ჰიბრიდული ომის მკვლევარი დავით ძიძიშვილი აღნიშნავს, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების მხრივ საქართველო ძალიან დიდი საფრთხის წინაშე დგას, თუმცა მთავარ პრობლემად მაინც მის წინააღმდეგ მოქმედების ერთიანი გეგმის თუ პოლიტიკის არარსებობას მიიჩნევს. მისი აზრით, ქვეყანაში უნდა არსებობდეს სტრუქტურა, რომელიც იმუშავებს ჰიბრიდული ომის საფრთხეებზე - ანალიზის საფუძველზე შექმნის პოლიტიკის დოკუმენტებს, ერთიან სტრატეგიებს თუ სამოქმედო გეგმებს. აქვე აღნიშნავს, რომ ეს ორგანო არ უნდა იყოს „მონსტრი“, რომელიც გარკვეული ტიპის ინფორმაციას გააკონტროლებს და გაფილტვრის შედეგად, სახელმწიფოსთვის არასასურველ ინფორმაციას დაბლოკავს (ძიძიშვილი, 2018).

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭომ, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში არსებული მდგომარეობის შიდა და გარე საფრთხეების შეფასება ახორციელებდა, შეიმუშავა საქათველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, რომლის შესავალ ნაწილში წერია: „2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა კიბერშეტევებმა ნათლად აჩვენა, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება ვერ შედგება კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე. რუსეთ - საქართველოს ომის დროს, რუსეთის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევების პარალელურად, განახორციელა მიზანმიმართული და მასირებული კიბერშეტევები. აღნიშნულმა კიბერშეტევებმა აჩვენა, რომ კიბერსივრცის დაცვა ეროვნული უსაფრთხოებისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცეების დაცვა“ (საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, 2017). როგორც შესავალი ნაწლიდან ჩანს, დოკუმენტის მთავარი მზიანი კიბერუსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვანი ქმედებების განხორციელება იყო. თუმცა, მისი მოქმედების ვადის ფარგლებში, 2017-2018 წლებში არა წინ გადადგმული ნაბიჯები, არამედ იმ ორგანოს გაუქმება მივიღეთ შედეგად, რომლის მიერაც აღნიშნული სტრატეგია შეიქმნა და შესაბამისი პოლიტიკაც უნდა განხორციელებულიყო.

ქართველი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ 2008 წელს ეს იყო ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა, რომლის დროსაც არ არსებობდა საჭირო გამოცდილება და შესაბამისად, საქართველომ კიბერშეტევის მოგერიება ვერ შეძლო. ამის შედეგად, ქვეყანა აღმოჩნდა ინფორმაციული ვაკუუმის წინაშე, თუმცა უცხოელი პარტნიორების კერძოდ, ესტონელების ჩარევის შემდეგ სიტუაცია შედარებით გაუმჯობესდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებამ მოცემული მიმართულებით სამართლებრივ-ნორმატიულ ბაზაზე დაიწყო მუშაობა და რამდენიმე წელში საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია გამოქვეყნდა. „საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია არის კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ასახავს სტრატეგიულ მიზნებს, ძირითად პრინციპებს, აყალიბებს სამოქმედო გეგმებს და ამოცანებს. სტრატეგიაზე დაყრდნობით, საქართველოს ხელისუფლება გაატარებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ორგანოების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების კიბერსივრცეში დაცულად ფუნქციონირებას, ელექტრონული ოპერაციების უსაფრთხო განხორციელებას

და ქვეყანაში ეკონომიკისა და ბიზნესის შეუფერხებლად მოქმედებას“ (საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, 2017).

რაც შეეხება საინფორმაციო ომს, ის კიბერუსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგნს. კანონი “ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ” წინ უძღოდა კიბერუსაფრთხების სტრატეგიის გამოქვეყნებას. ამავე კანონის მიხედვით, ტერმინი “ინფორმაციული ომი” განისაზღვრება, როგორც „საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების წვდომის, ერთიანობის, ავთენტიფიკაციის, კონფიდენციალურობისა და განგრძობადი მუშაობის დაცვას“ (2012).

როგორც ჩანს, ინფორმაციული უსაფრთხოება სახელმწიფოს მიერ სრულიად უგულვებელყოფილი არ არის და საკანონმდებლო დონეზე მასზე მუშაობაც ხდება. თუმცა, ამ შემთხვევაში რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრობლემას ვხვდებთ აღსრულების ეტაპზე, ამის ძირითადი მიზეზი კი პასუხისმგებლობის სფეროს მრავალ უწყებაზე გადანაწილებაა.

იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციების შექმნის გარდა, განსხვავებული მიდგომის საჭიროებაც იკვეთება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ერონული უსაფრთხოების საკითხებში, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ონლაინ მედია. მოვლენების სწრაფმა განვითარებამ და გავრცელებამ ხელი შეუწყო ტრადიციული მედიიდან ყურადღების ონლაინ მედიაზე გადატანას. აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია მედიის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიზნებისთვის გამოყენება. ზოგიერთ შემთხვევაში გარე ძალები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად, ეროვნულ უსაფრთხოებაზე ნეგატიური გავლენის მოსახდენად იყენებენ. სწორედ ამიტომ, საჭიროა სახელმწიფოს მიერ შეიქმნას დოკუმენტი, რომელშიც დღეს არსებული საფრთხეები იქნება გათვალისწინებული.

II თავი - საქართველოს მედიალანდშაფტი

მმართველობის დემოკრატიული ფორმა მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას გულისხმობს, რაც ზუსტი, ფაქტებზე დაფუძნებული, დაბალანსებული, ეთიკური და პასუხისმგებლიანი მედიაგარემოს გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ მმართელობის ფორმასა და მედია გარემოს უკავშირებენ ერთმანეთს სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორები სიბერტი, პეტერსონი და შრამი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მედიის განვითარების დონეს ქვეყნის სოცალურ-პოლიტიკური სისტემა განსაზღვრავს (Siebert, Peterson, & Schramm, 1956). ამ კუთხით, საქართელოში საკანონმდებლო დონეზე პრობლემა ნაკლებად არსებობს, რადგან 2004 წლიდან მოქმედი კანონი "მაუწყებლობის შესახებ" არის ლიბერალური ხასიათის. აღნიშნული კანონი სახელმწიფო ჩარევისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორმირებას და სიტყვისა და აზრის თავისუფლებას ეფუძნება (საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, 2005). სწორედ ამიტომ, ქვეყანაში გავრცელებული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ სამართლებრივი ბერკეტებით ბრძოლა რთულია. აღნიშნულის საფუძველზე კი შესაძლოა ქართული მედია სიბერტის, პეტერსონისა და შრამის კლასიფიკაციის ლიბერტარიანულ მოდელს შევუსაბამოთ, რადგან აღნიშნული მოდელი სწორედ ინფორმაციის თავისუფლად მოპოვება - გავრცელებას, ხოლო ხელისუფლებისაგან კონტროლის, შეზღუდვების და ცენზურის არარსებობას გულისხმობს.

მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება ყველა სახელმწიფო უწყებისაგან დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მეშვეობით ხორციელდება. კომისიის სამართლებრივ სტატუსს "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს (2005).

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მიღებულია "მაუწყებელთა ქცევის კოდექსი", რომლის მიზანია, ყველა სახის მაუწყებელი თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს

პროფესიული ეთიკის ნორმების დაცას და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას (2009).

2.1 არასამთავრობო და მედია ორგანიზაციები დეზინფორმაციის წინააღმდეგ

საქართველოში არსებობს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მედიის მონიტორინგის საშუალებით ებრძვიან დეზინფორამციას, პროპაგანდას და მითების გავრცელებას. ერთ-ერთი დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც მედიამონიტორინგს უწყვეტ რეჟიმში ახორციელბს, არის "საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია", რომელიც 2009 წლის 4 დეკემბერს დაფუძნდა. ქარტიის მისიაა პროფესიული და ეთიკური სტანდარტის დაცვისა და თვითრეგულირების მექანიზმების შექმნის გზით, მედიის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლება (ძველიშვილი, 2018). ქარტიის ფარგლებში, როგორც რეგიონებიდან, ისე დედაქალაქიდან სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლებს 11 პრიციპზე აქვთ ხელი მოწერილი.

ეთიკის ქარტია ჟურნალისტურ პროდუქტში ეთიკური დარღვევების შემთხვევაში, მოქალაქეებს მისთვის განცხადებით მიმართვის შესაძლებლობას აძლევს. გარდა ამისა, ეთიკის ქარტია მედიასივრცეში მუდმივად ახორციელებს კვლევებს, ასევე, სიძულვილის ენის, დეზინფორმაციისა და პროპაგანის მონიტორინგს. აღნიშნულიდან გამომდინარე კი ის პროპაგანდის წინააღმდეგ მოქმედი საკონსულტაციო კომისის წევრი ორგანიზაცია გახდა; კომისია დაკომპლექტებულია შემდეგი ქვეყნების თვითრეგულირების საბჭოთა წარმომადგენლებისგან - საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი. კომისიის შექმნის მიზანი პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაა (2018).

2008 წლიდან ადგილობრივ მედიასაშუალებებს იკვლევს ასევე "მედიის განვითარების ფონდი" (MDF), რომლის ძირითად მიმართულებად სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ეთიკური ჟურნალისტიკის, ანგარიშვალდებულების, მედიაწიგნიერების და მრავალფეროვნების მხარდაჭერა სახელდება (მედიის

განვითარების ფონდი, 2018). “მითების დეტექტორის” ფორმატში, რომელიც მედიის განვითრების ფონდმა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროექტის ფარგლებში შექმნა, მედიაში გავრცელებული მითების გამოვლენა და მათი სიყალბის დადგენა ხდება.

არასამთავრობო სექტორში საინფორმაციო ომს განსაკუთრებულ ყურადღებას „ინფორმაციული თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ IDFI, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ და „ჟურნალისტიკის რესურსცენტრი“ უთმობს. IDFI ბოლო რამდენიმე წელია აქტიურად მუშაობს ამ პრობლემაზე, რასაც მათ მიერ მომზადებული დოკუმენტებიც ადასტურებს. ჟურნალისტიკის რესურსცენტრი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს სწორი და ჯანსაღი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას რეგიონებში, განსაკუთრებით ყურადღებას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე ამახვილებს, სადაც ამ მხრივ ყველაზე დიდ პრობლემებს ვხვდებით. რაც შეეხება ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“, მისი დაფინანსებით საქართველოში არაერთი პროექტი ხორციელდება, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მოსახლეობაში მედიაწიგნიერების დონის ამაღლებისთვის განკუთვნილი პროგრამებია.

2.2 მედიაწიგნიერება - დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები საზოგადოების მიერ ცრუ/ყალბი ინფორმაციის მიმღებლობას ხშირად მედიაწიგნიერების დაბალ დონეს უკავშირებენ, ხოლო მედიაწიგნიერების დონის გაზრდას კი განათლების სფეროს, რადგან სამომავლოდ, ამ მიმართულებით ცოდნა საზოგადოების მხრიდან გამოყენებულ იქნას, როგორც ინფომაციის გაფილტვრის და კრიტიკული აზროვნების ინსტრუმენტი. ”მედიაწიგნიერება არ მიმაჩნია მნიშვნელოვან ფაქტორად, რადგან მე უფრო განათლების დაბალ დონეს მივიჩნევ პრობლემად, ხოლო მედიაწიგნიერება მის მხოლოდ ერთ ნაწილად შეიძლება დავასახელოთ. მთლიანობაში, მნიშნელოვნად მაინც ზოგადი

განათლების დონის გაზრდა და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა მიმაჩნია.” - აღნიშნავს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პროგრამების დირექტორი (ავალიშვილი, 2018). ექსპერტთა აზრით, მედიაწიგნიერებაზე საგანმანათლებლო კუთხით მუშაობა სკოლიდან უნდა დაიწყოს და ცალკე დისციპლინად ან რამდენიმე საგანთან ინტერგრირებული ფორმით უნდა ისწავლებოდეს. “თუ სკოლებში დაიწყება მედიაწიგნიერების სწავლება, ეს წაადგება ქვეყნის განვითარებას, განსაკუთრებით კი მოწყვლად ჯგუფებს” - ამბობს მედიის განვითარების ფონდის დირექტორი (კინწურაშვილი, 2018).

გამოკითხულ ექსპერტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ მედიაწიგნიერების დონე ყალბი ინფორმაციის გამოაშკარავებით და გარკვეული დროის შემდეგ რეალური ფაქტების გაშუქებით არ უმჯობესდება. მათივე თქმით, მედიაწიგნიერების მთავარი უპირატესობა სწორედ ის არის, რომ ცრუ ინფორმაციის დაჯერება თავიდანვე არ მოხდეს. ყველასთვის ცნობილია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია “დასწრების ეფექტი”, რადგან მოსახლეობა სწორედ იმ წყაროს უჯერებს, ვინც პირველი ავრცელებს ინფორმაციას. საქართველოს თავდაცვის აღმშენებლობის სკოლის წარმომადგენელი დავით ძიძიშვილი აღნიშნავს, რომ მედიაწიგნიერება სწორედ ყალბი ინფორმაციის დაჯერებისგან გვაზღვევს, რადგან ინფორმაციის გაცნობისთანავე ხდება გადამოწმება და მისი სიმართლესთან შესაბამისობის დადგენა. მისივე თქმით, გაცილებით უფრო მარტივია პროპაგანდასთან ბრძოლა, როდესაც მოსახლეობას მედიაუნარები აქვს გამომუშავებული, ვიდრე მაშინ, როდესაც პოსტ ფაქტუმ ხდება რეაგირება (ძიძიშვილი, 2018).

დღესდღეობით, საქართველოში მედიაწიგნიერების განვითარების კუთხით რაიმე სახის სახელმწიფო პროგრამა არ ხორციელდება, მაგრამ არსებობს მედიაორგანიზაციები, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით მუშაობენ. მაგალითად, მედიის განვითარების ფონდმა (MDF) მედიაწიგნიერების პროგრამის ფარგლებში მოამზადა გზამკვლევი, რომლის მიზანია დაეხმაროს მედიის მომხმარებელს ყალბი ინფორმაციის გადამოწმებასა და დეზინფორმაციის გამკლავებაში. ამავე ორგანიზაციის მიერ, დოიჩე ველე აკადემიის მხარდაჭერით, ტარდება მედიაწიგნიერების კურსები, რომლის ფარგლებშიც

მონაწილეები გადიან თეორიულ და პრაქტიკულ კურსს პროპაგანდის წინააღმდეგ მუშაოების მეთოდებზე (მედიის განვითარების ფონდი, 2018).

2.3 მედიის თავისუფლების ინდექსი საქართველოში

ქვეყანაში არსებული სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო მნიშვნელოვან გვალენას ახდენს მედიის საქმიანობაზე. დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც საკანონმდებლო ბაზა მოწესრიგებულია, ეკონომიკური საქმიანობა სახელმწიფოს ჩაურევლად ხორციელდება და სიტყვისა და გამოხატვის რეალური თავისუფლება არსებობს, მედიაც დამოუკიდებლობით სარგებლობს. სწორედ აღნიშნულ ფაქტორებს იკვლევს საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House და ყოველწლიურად აქვეყნებს სხვადასხვა სახელმწიფოში მედიის თავისუფლების დონის შესახებ ანგარიშებს.

Freedom House-ის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო 50 ქულით კვლავ ნაწილობრივ თავისუფალი მედიის მქონე ქვეყნებს შორის მოხვდა, ხოლო სამართლებრივი კუთხით საქართველოს 30-დან 13 ქულა, პოლიტიკური გარემოს მიხედვით 40-დან 21 ქულა, ხოლო ეკონომიკური გარემოს მიხედვით კი, 30-დან 16 ქულა მიენიჭა. საქართველო უკვე რამდენიმე წელია მედიის თავისუფლების კუთხით ნაწილობივ თავისუფალი ქვეყნის რიგებშია - 2014 წელს პრესის თავისუფლების მაჩვენებელი 47, 2015 წელს 48, 2016 წელს 49, ხოლ 2017 წელს 50 ქულა იყო (Freedom House, 2017). როგორც Freedom House-ის მონაცემებიდან ჩანს, ბოლო სამი წლის განავლობაში უმნიშვნელოდ, მაგრამ მედიის თავისუფლების დონე მაინც შემცირდა. Freedom House-ის 2017 წლის კვლევის შედგეების გათვალისწინებით, პოსტსაბჭოთა სივრცეში პრესის თავისუფლების მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი საქართველოს აქვს.

საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House ასევე ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს ინტერნეტის თავისუფლების შესახებ. 2017 წლის შედეგებით, საქართველოს 100 ქულიდან 24 მიენიჭა და შეფასდა, როგორც თავისუფალი ქვეყანა. რაც შეეხება ინტერნეტის ხელმისაწვდომობას, შედეგები 2016 წელთან შედარებით ამ პუნქტშიც

გაუმჯობესდა. ანგარიშის მიხედვით, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობამ მოსახლეობის 50%-ს მიაღწია (Freedom House: საქართველოს ქულა ინტერნეტის თავისუფლების რეიტინგში გაუმჯობესდა, 2017). აღნიშნულის მიზეზად შესაძლოა 2017 წლის 26 სექტემბერს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საკონსტიტუციო ცვლილებები მივიჩნიოთ, სადაც ადამიანის ძირითადი უფლებების თავში ინტერნეტზე თავისუფლად წვდომისა და სარგებლობის უფლება ხაზგასმით არის დაფიქსირებული (IDFI, 2017).

საქართველოში პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ ტელევიზია და ინტერნეტი სახელდება. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ საზოგადოებრივი აზრის შესახებ, 2018 წლის გამოკითხვის შედეგები საინფორმაციო გარემოს შესახებ გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძებლობას გვაძლევს. როგორც აღნიშნული კვლევის შედეგებიდან ჩანს, გამოკითხულთა 56% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქართული ონლაინ მედია ხშირად ავრცელებს დეზინფორმაციას, ხოლო ტელეარხებთან დაკავშირებით ამავე მოსაზრებას გამოკითხულთა 68% ეთანხმება. საქართველოში ცრუ/ყალბი ინფორმაციის მთავარ გამავრცელებლად 84%-ის მიერ რუსეთი სახელდება (NDI, 2018).

2.4 არაქართულენოვანი მედიასაშულებების როლი

NDI-ის 2018 წლის გამოკითხვის შედეგებით, არაქართულენოვან მედია საშუალებებს თვალს მოსახლეობის 18% ადევნებს, რომელთაგან ყველაზე ხშირად რუსეთის პირველ არხს/ო-ერ-ტე-ს (34%), ერ-ტე-ერ-ს (19%) და რასია 1-ს (13%) უყურებენ და მხოლოდ მათ შემდეგ არის სი-ენ-ენი, ევრონიუსი, ბი-ბი-სი უორლდ ნიუსი და სხვა. რუსული მედიის მოწინავე პოზიციებზე ყოფნას ისიც უწყობს ხელს, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოში რუსული ენის მცოდნეთა რაოდენობა ინგლისური ენის მცოდნეთა რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება. მაშინ, როდესაც რუსული ენის ცოდნის დონეს მაღალ და საშუალო დონეზე მოსახლეობის 67% აფასებს, ინგლისური ენის ცოდნას ამავე დონეზე მხოლოდ 22% აფასებს. ეთნიკურ უმცირესობათა დასახლებებში კი კიდევ უფრო

განსხვავებული სურათია, რადგან ინგლისური ენის მცოდნეთა რაოდენობა 5%-ს არ აღემატება, ხოლო ძირითადი სასაუბრო ენა რუსული (60%) ან თურქულია (46%).

რაც შეეხება ონლაინ მედიას, სატელევიზიო არხებთან შედარებით გავლენის სიმცირე შესაძლოა მისი გამოყენების მასშტაბებს დავუკავშიროთ, რადგან ყოველდღიურად ინტერნეტს მოსახლეობის 51% იყენებს, ხოლო კვირაში ერთხელ მაინც 9%. აღნიშნულ შედეგებს კი ისევ და ისევ დედაქალაქის, დიდი და პატარა ქალაქების მოსახლეობა გვაძლევს. სოფლებსა და ეთნიკურ უმცირესობათა მიერ დასახლებული რეგიონებში კი ინტერნეტთან ყოველკვირეული წვდომა 50%-ს არც კი აჭარბებს (NDI, 2018).

“ჟურნალისტიკის რესურსცენტრის” ხელმძღვანელი, ნათია კუპრაშვილი აღნიშავს, რომ საზოგადოებისთვის ისეთი ქართულენოვანი კონტენტის შეთავაზებაა მთავარი, რომელიც მოსახლეობის დააინტერესებს, რადგან რეგიონების დიდ ნაწილში გამოიყენება მიმღები თეფშები, რომლებიც იქ მცხოვრებლებს მათთვის საინტერესო კონტენტის ყურების შესაძლებლობას აძლევს და ციფრული მაუწყებლობით დაინტერესება გაცილებით ნაკლებია (კუპრაშვილი, 2018).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა დეზიფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად რუსული ენის ცოდნის მაღალი მაჩვენებელი მივიჩნიოთ. იმ ადამიანების დიდმა ნაწილმა, რომელსაც ცხოვრების ნახევარი ან მეტი საბჭოთა კავშირში აქვს გატარებული, რუსული ენა საკმაოდ კარგად იცის, ამიტომ ახალ ამბებსაც რუსული მედია საშუალებებით ეცნობა. გარდა ამისა, რუსული მთავარი საკომუნიკაციო ენაა ეთნიკურად დასახლებულ რეგიონშიც, რასაც რუსული მხარე სასურველი ნარატივების გასავრცელებლად აქტიურად იყენებს. სწორედ ამიტომ ხდება საჭირო სპეციალური კონტენტის შექმნა და საზოგადოების ამ კონკრეტული სეგმენტის ქართულ საინფორმაციო სივრცეში ინტეგრირება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დეზინფორმაცია მხოლოდ რუსული მედია საშუალებებით არ ვრცელდება და ამ პროცესში ჩართულნი არიან როგორც ქართული, ისე უცხოური მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები და მათთან მიმართებით სპეციალური პოლიტიკის შემუშავებაა საჭირო ისე, რომ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება არ შეიზღუდოს.

III თავი - სამართლებრივი რეგულაციები ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში

გამოკითხული სპეციალისტები და საჯარო პირები თანხმდებიან, რომ ამ კუთხით მკაცრი რეგულაციები კონტრპროდუქტიული იქნება. თუმცა, არსებობენ ექპერტები, რომლებიც მიუთითებენ საკონსტიტუციო ბაზის ხარვეზებზე და აღნიშნავენ, რომ „ინფორმაციის უსაფრთხოების თვალსაზრისით, საკანონმდებლო სფერო პრაქტიკულად გაუმართავია“ (სალაძე, 2018).

ექსპერტთა ნაწილი მხარს უჭერს იმ მედია საშუალებების შეზღუდვის იდეას, რომლებიც რუსეთის, როგორც მთავარი დეზინფორმატორის სახელმწიფოებრივი ინტერესების გავრცელებას ცდილობენ საქართველოს ტერიტორიაზე - მაგალითად, საინფორმაციო სააგენტო “სპუტნიკი”, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეწევა რადიომაუწყებლობას და ამასთანავე, ადგილობრივი აუდიტორიისთვის საიტებზე ქმნის მისთვის ხელსაყრელ კონტენტს. სპუტნიკის FM დიაპაზონი ფარავს სქართველოს გარკვეულ ტერიტორიებსაც, კერძოდ, მისი მოსმენა, რომელიც ცხინვალიდან მაუწყებლობს, შესაძლებელია იგოეთი-გორის ტერიტორიაზე. ჰიბრიდული ომის მკვლევარი დავით ძიძიშვილი სწორედ ზემოაღნიშნული ტიპის მედია საშუალებების მიერ მაუწყებლობის აკრძალვას ემხრობა და მიუთითებს, რომ მედია საშუალება, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაუწყებლობს ამავე ქვეყნის ლიცენზიის გარეშე, ის აუცილებლად უნდა შეიზღუდოს (ძიძიშვილი, 2018).

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი კი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონის ანალიზი, ნაკლოვანებების გამოვლენა და მისი დანერგვის პრაქტიკის შეფასება. მნიშვნელოვანად თვლის, ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვის პროცესის დაჩქარებას და ამ მიზნით უწყებების დაფინანსების გაზრდას (ქალდანი, 2018).

მედიის წარმომადგენლების აზრით, საქართველოში არსებული მედიარეგულაციები ლიბერალურია, რაც ხელს უწყობს მედია პლურალიზმის განვითარებას. ისინი ყველაზე

დიდ პრობლემას აღსრულების საკითხში ხედავენ. „არსებულ კანონში ცვლილებების საჭიროებას ვერ ვხედავ, თუმცა მე ვხედავ საჭიროებას, რომ სახელმწიფომ მარეგულირებელი კომისიის სახით უნდა განახორციელოს იმ მედიასაშუალებების მონიტორინგი, რომლებიც სიძულვილის ენას და შუღლის გაღვივებას უწყობს ხელს.“ - აცხადებს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე (ჯინჯიხაძე, 2018).

რაც შეეხება ინფორმაციულ უსაფრთხოებას, როგორც უკვე აღინიშნა, საქართელოში არსებობს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, რომელიც აწესებს უფლება-მოვალეობებს, ასევე საზღვრავს სახელმწიფოს კონტროლის მექანიზმებს ამავე სფეროში. გამოკითხული პირების ყველაზე მეტი - 45% მიიჩნევს, რომ ინსტიტუციური განვითარების დონე იფორმაციის უსაფრთხოების სფეროში დაბალია. როგორც გამოკითხული საჯარო მოხელეების საუბრიდან ირკვევა, სახელმწიფო ორგანოები ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების გამკლავებას საკუთარი ძალებით, სხვა სახელმწიფო ორგანოებისგან დამოუკიდებლად ცდილობენ. „ამ საკითხში უწყებათაშორისი მუდმივი თანამშრომლობა არ არსებობს, შესაძლოა მხოლოდ კონკრეტული თემის გარშემო მოხდეს ხოლმე კოოპერაცია“ - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი (ფხალაძე, 2018). ამ მხრივ უფრო ხშირია სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა. სწორი ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდების მიზნით, ერთობლივი კამპანიის წარმოება ძირითადად, ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით ხდება. „მედიის განვითარების ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი აცხადებს, რომ ორგანიზაცია თანამშრომლობს „ნატო-ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრთან“ და მათი მონიტორინგის შედეგების გაზიარებაც ყოველდღიურად ხდება (კინწურაშვილი, 2018). თანამშრომლობის თვალსაზრისით, განსხვავებული სიტუაციაა არასამთავრობო სექტორში - თითქმის ყველა გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ადასტურებს სხვადასხვა ალიანსებთან კოოპერაციას და კამპანიებში მონაწილეობას. აღნიშნულს ადასტურებს ისეთი ფორმატების არსებობა, როგორებიც არის „აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმა“, „რეგიონულ მაიუწყებელთა ალიანსი“,

„კოალიცია ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის“ და სხვა. ასევე, არსებობს შედარებით მცირე მასშტაბის თანამშრომლობა ორ ან სამ ორგანიზაციას შორის, რომლებიც მიმართულია დეზინფორმაციის იდენტიფიცირების, რეგიონული მედია საშუალებების გაძლიერების და პროპაგანდის საწინააღმდეგოდ ობიექტური საინფორმაციო კამპანიის წარმოებისკენ.

IV თავი - ონლაინ მედიაში გავრცელებული ყალბი/ცრუ ინფორმაციის იდენტიფიცირების მექანიზმები

თანამედროვე მსოფლიოში ისე განვითარდა ტექნოლოგიები, რომ ჟურნალისტები ინფორმაციის გადამცემი ჯაჭვის მოხოლდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი შემადგენელი ნაწილები არიან. სწორედ ამას უსვამს ხაზს რ. შროიდერი, როდესაც აღნიშნავს, რომ მედია „გადამცემი ქამრის" ფუქციას ითავსებს, რომლითაც საზოგადოება არა მხოლოდ იღებს ინფორმაციას, არამედ პოლიტიკურ ელიტებს აწვდის კიდეც ხმას და ხშირად პოლიტიკურ დღის წესრიგსაც კი ქმნის (Schroeder, 2018). აქედან გამომდინარე, დღესდღეობით, სრულიად შესაძლებელია, რომ აუდიტორიაც გახდეს სხვადასხვა სახის მესიჯის (ინფორმაციის) გამავრცელებელი. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ვებ **2.0**-ის განვითარების შემდეგ ჟურნალისტსა და აუდიტორიას შორის ზღვარი ფაქტობრივად წაიშალა. ხშირად ე.წ. ონლაინ სივრცეში ინფორმაცია იმდენად სწრაფად ვრცელდება, რომ ტრადიციული მედია საშუალებების რეაგირება დაგვიანებულია.

საქართველოში დეზინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი გამავრცელებელი სწორედ ონლაინ მედიაა, ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ განსხვავებით ტელევიზიისაგან, რადიოსაგან და პრესისაგან, ონლაინ მედიაში წყაროს იდენტიფიცირება გაცილებით რთულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი ინფორმაციის საკუთარი ინტერესების შესაბამისად გავრცელება კი შედარებით მარტივია. როგორც ჰიბრიდული ომის მკვლევარი დავით ძიძიშვილი აღწშნავს, ონლაინ მედიამ საკმაოდ კარგად შეითვისა „ჭორის გავრცელების ელექტრონიზაცია". „დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა სინფორმაციო ომის ძალიან კარგიხ ხერხი - ჭორით ზემოქმედება და სწორედ ამ ჭორის ტრანსოფრმირება მოხდა ელექტრონულ სივრცეში, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ამ ტიპის ინფრომაცია არის საინტერესო. თუმცა, ამ შემთხვევაში ინფორმაციის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ წყაროს იდენტიფიცირება პრაქტიკულად შეუძლებელია, რის გამოც ყველას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ შექმნას „ფეიქ ექაუნთები" - ყალბი მედია საშუალებები, რაც ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად გამოიყენება. მაგალითად, იქმნება გარკვეული ონლაინ გვერდი, რომლის რედაქტორიც

და ჟურნალისტიც შესაძლოა ერთი და იგივე ადამიანი იყოს. ბუნებრივია, იმის იდენტიფიცირება, თუ ამ ყველაფრის უკან ვინ დგას, საკმაოდ რთულია და სწორედ ამიტომ, ეს გზა არის ყელაზე ხელსაყრელი „ინფრომაციის გათეთრებისა“, რასაც საინფორმაციო ომის პირობებში საკმაოდ ხშირად იყენებენ” - აღნიშნავს დავით ძიძიშვილი (2018).

მიუხედავად საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობისა და საკანონმდებლო რეგულაციებისა, ქართულ მედიასივრცეში ყალბი და დაუზუსტებელი ინფორმაცია მაინც ვრცელდება. ანკეტირებამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 65% არაეფექტურად მიიჩნევს არსებულ ღონისძიებებს დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, კრემლის მიერ საქართველოში დეზინფორმაცია და მითები სხვადასხვა სახით ვრცელდება - მითების ერთი ნაწილი კრემლისტური ნარატივების გავრცელებას და საზოგადოებაში იმ აზრის გამყარებას უწყობს ხელს, რომ რუსეთი ჩვენი ერთადერთი ხსნაა, მეორე ნაწილი ანტიდასავლური მესიჯების გავრცელებით საზოგადოებრივი აზრის შეცვლას და პრო-კრემლისტური კურსის მხარდაჭერის გაზრდას ცდილობს. ასევე, არსებობს რუსული მითები, რომლებიც ეროვნულ იდენტობას უკავშირდება.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში პროპაგანდა ძირითადად, ანტიდასავლური მესიჯებით ვრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პროპაგანდის გავლენა არავის გაუზომვას, ფაქტია, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ მისი გაზიარება ნამდვილად ხდება. ზოგიერთი მედია საშუალებით ისეთი ანტიდასავლური ნარატივები ვრცელდება, როგორებიც არის ინცესტი, ეროვნულ საკითხებთან დაკავშირეული თემები და სხვა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მითი, რომლის მხარდაჭერაც კრემლის პროპაგანდის ძირითად ამოცანად შეიძლება იქნას მიჩნეული, ნატო-ში ინტეგრაციის საფრთხიდან გამომდინარე, საქართველოს ნეიტრალიტეტის იდეაა. პრო-კრემლისტური ძალები საკმაოდ აქტიურად ცდილობენ ქართულ საზოგადოებაში სკეპტიკური განწყობის შექმნას და ნატო-ში ინტეგრციასთან დაკავშირებით ყოველგავრი მოლოდინის გაქრობას.

გარდა საკანონმდებლო რეგულაციისა, ონლაინ მედიაში განთავსებული ჟურნალისტური პროდუქტის მონიტორინგი და ანალიზი სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება. მედიაორგანიზაციის წარმომადგენლები მაუწყებლების, ონლაინ მედიის (სოციალურ ქსელებს) და პრესის ანალიზს ყოველდღიურად ახდენენ. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული "ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", რომელიც საკუთარი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ იმ მედიასაშუალებების გაძლიერებას და დახმარებას მიიჩნევს, რომლებიც სწორი, ობიექტური და ხარისხიანი ინფორმაციით არიან დაკავებულები. "ვმუშაობთ არა კონტრნარატივების შექმნაზე, არამედ სწორი ნარატივების ჩამოყალიბებაზე და რეალური სურათის გაშუქებაში ვეხმარებით ადგილობრივ მედიას" - განმარტავს ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე (ჯინჯიხაძე, 2018).

ქართულ მედიასივრცეში ცრუ ინფორმაციისა და მითების გავრცელებას "მედიის განვითარების ფონდი" "მითების დეტექტორის" ფორმატში ებრძვის. ორგანიზაციის წევრთა მიზანს, დეზინფორმაციაზე და მითებზე რეაგირების მოხდენა და საზოგადოებისთვის სწორი, ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს. საზოგადოებაზე გავლინის მოხდენის მიზნით გავრცელებული ფოტოები ხშირად არ შეესაბამება იმ სტატიას, რომელთანაც წყარო აკავშირებს მათ. მაგალითად, გასულ წელს digest.pia.ge-იმ და "საქართველო და მსოფლიომ" გამოაქვეყნა "ქართული დასის" ლიდერის ჯონდი ბაღათურიას მიმართვა, რომლის მიხედვითაც უკრაინაში მიმდინარეობდა მართლმადიდებლური ეკლესიებისა და ტაძრების დარბევა, ასევე სამღვდელოების და მრევლის ფიზიკური შეურაცხყოფა. აღნიშნულ მიმართვას „ქართული დასის" ლიდერმა სოციალურ ქსელში დაურთო ფოტოსურათი, რომელიც არაერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოიყენა. "მითების დეტექტორის" მეშვეობით კი დადგინდა, რომ ფოტოზე ასახული იყო არა მართლმადიდებლური ეკლესიის დევნა, არამედ ქალაქ ზაპოროჟიეს ეკლესიაში მომხდარი აფეთქება, რასაც სამი ბრალდებულის დაკავება მოჰყვა (გელაშვილი, 2017). გარდა ამისა, "მითების დეტექტორის" ფორმატში ვლინდება ისიც, თუ რამდენად ხდება საქართველოში თურქოფობიული განწყობების გავრცელება. 2017 წელს, ულტრანაციონალისტურ მოძრაობა "ქართველთა მარშთან"

(“რუსული მარშის” ანალოგი ორგანიზაცია) დაახლოებული პირის მიერ მისივე სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა ფოტო, რომელზეც მისი თქმით, ქურთუკის ქურდობისათვის ცემით მოკლული ქართველი ახალგაზრდა იყო ასახული. ფოტო გადაღებული იყო ერთ-ერთ თურქულ სასტუმროსთან, ამიტომ “მითების დეტექტორი” დაუკავშირდა სასტუმროს ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რომლისგანაც მიიღო ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა მამაკაცი სასტუმროს ფანჯრიდან შემთხვევით გადმოვარდა და გარდაიცვალა, შესაბმისად, მკვლლობის ფაქტი არ დადასტურდა (გელავა & ქურდაძე, 2017).

მედიაკრიტიკის პლატფორმას საქართველოში www.mediachecker.ge წარმოადგენს, რომელიც „მაუწყებელთა ქცევის კოდექსზე“ დაყრდნობით ამზადებს მასალებს. პროექტი „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ხორციელდება. აღნიშნულ ვებგვერდზე აქტიურად ვრცელდება დეზინფორმაციის და პროპაგანდის შემცველი მასალები, სადაც ყურადღება გამახვილებულია იმ სიცრუესა და უზუსტობებზე, რომელთა საშუალებითაც ხდება საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა. mediachecker.ge ავრცელებეს სტატიას სათაურით „ორგანოებით ვაჭრობა და რუსული პროპაგანდა“, რომელიც 12 სექტემბერს „საქინფორმის“ მიერ გამოქვეყნდა სათაურით „კიევში იჭერენ მარტოხელა ადამიანებს, ორგანოებად ანაწევრებენ და საიდუმლოდ მარხავენ - აღმოჩენილია სააკაშვილის ცოლის მიწისქვეშა სამალავი!“ საინფორმაციო სააგენტო ირწმუნება, რომ უკრაინაში იჭერენ მარტოხელა ადამიანებს, ორგანოებად ანაწევრებენ და საიდუმლოდ მარხავენ, რადგან ადამიანების ნეშთებით სავსე ჭა კიევის მახლობლად ნახეს (2016). თუმცა, ეს ინფორმაცია არ დასტურდება და იმავე შინაარსის სტატიებს მხოლოდ რუსულ პროპაგანდისტულ გამოცემებში ვხვდებით - rusgambit.ru, Pravda.ru, news.sputnik.ruდა ა.შ.

V თავი - ონლაინ სივრცეში წარმოებული საინფორმაციო ომი (2008 და 2018 წლების მაგალითზე)

თნამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კუთხით საქართველო უფრო და უფრო წინ მიიწევს. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება ქვეყნის წინსვლის და წარმატების ერთ-ერთი გარანტია. საქართველოს ხელისუფლების აქტიური მცდელობის ფონზე, რომ ქვეყანა მსოფლიო ინფორმაციულ სივრცეში ინტეგრირდეს, საფრთხეების მასშტაბებიც შესამჩნევად იზრდება. დღეს, საქართველოში რთულად თუ მოიძებნება დასახლება, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის ყოველგვარი საშუალების მიღმაა დარჩენილი. რეგიონალური კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის სამთავრობო მცდელობებს თუ არ ჩავთვალით, სატელეკომუნიკაციო ქსელების მიერ ქვეყნის თითქმის სრულად დაფარვის შედეგად, მოსახლეობას მობილური ტელეფონებიდანაც ეძლევა ინფორმაციის მიღების საშუალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით მოსახლეობის უფრო და უფრო ფართო ფენების „მართვა“ გახდა შესაძლებელი.

5.1 რუსეთის ფედერაცია - მთავარი აქტორი საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფრომაციო ომის პირობები

რუსეთის ფედერაცია სულ უფრო აქტიურად იყენებს საინფორმაციო ომის ტექნიკას მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ინტერესების გასატარებლად და საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად კრემლის მიერ მედიის გამოყენება პროპაგანდის გასავრცელებლად არ არის უცხო, ბოლო პერიოდში მისი მასშტაბები განსაკუთრებით გაიზარდა. ანკეტირებით გამოკითხულ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი - 45%, მიიჩნევს რომ ეროვნულ მედიის მიერ კრემლისტური ნარატივის გაშუქება ნაკლებად პოპულარულია, სამაგიეროდ, რუსული არხები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე შეუზღუდავად მაუწყებლობს, რუსული

პროპაგანდის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები თვლიან, რომ უკვე დროა საქართველოს ხელისუფლებამ აღიაროს ამ მზარდი პრობლემის არსებობა და შეიმუშავოს პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა (ავალიშვილი, ლომთაძე, & ქევხიშვილი, 2016).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ჰალინის და პ. მანჩინის მედია სისტემების ტიპოლოგიის მიხედვით, რუსეთი შეგვიძლია პოლარული პლურალიზმის მოდელს მივაკუთვნოთ, რადგან აღნიშნული მოდელი ყველაზე პოლიტიზირებულია და პოლიტიკური ელიტების მიერ ამომრჩეველთა დარწმუნების მიზნით იმართება. მათი თქმით, პოლარული პლურალიზმის მოდელი ყველაზე მყარი და ძლიერია სწორედ იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან დემოკრატიის ნაკლებობას (Hallin & Mancini, 2004). საქართველოს წინააღმდეგ კი ჰიბრიდულ ომს რუსეთის ფედერაცია პერმანენტულად აწარმოებს. შესაძლოა ითქვას, რომ რუსეთის ჰიბრიდული ომი საქართველოში მუდმივი პროცესია, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან ხორციელდება. როგორც ჰიბრიდული ომის მკვლევარი დავით ძიძიშვილი აღნიშნავს, რუსეთში ფსიქოლოგიური ოპერაციების პრაქტიკა მოძველდა და საინფორმაციო ოპერაციების მოდელზე გადავიდნენ, რაც ჰიბრიდულ ომად ტრანსფორმირდა (2018).

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს წინააღმდეგ ინფორმაციული ომების ტალღა მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ქვეყანამ ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის დაიწყო ზრუნვა. ამის დამადასტურებელია 2008 წელს რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომი, რომელმაც საინფორმაციო სივრცეებიც მოიცვა. ამ პერიოდში სქართველოს კიბერსივრცეზე რუსეთის მხრიდან მასირებული შეტევა განხორციელდა, რის გამოც ქვეყნის მთავარი საკომუნიკაციო ქსელები მნიშნელოვნად დაზიანდა. როგორც საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავენ, საქართველო კიბერშეტევისთის მზად არ იყო, ამიტომაც ქვეყანამ ამ მხრივაც საკმაოდ დიდი ზარალი ნახა, რადგან როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორის ვებგვერდები გამოვიდა მწყობრიდან. კერძოდ, აგვისტოს ომის პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, თავდაცვისა და სხვა არაერთი სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი

აღნიშნული შეტევის გამო გაითიშა. გარდა ამისა, რამდენიმე დღის განმავლობაში შეზღუდული იყო სხვა საკომუნიკაციო საშუალებებიც. აღნიშნული ქმედების მთავრ მიზანს საქართველოს სტარტეგიული ობიექტების შესახებ ინფორმაციის მიღება და მოსახლეობის ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცევა წარმოადგენდა. სამთავრობო და კერძო სექტორების ოფიციალური საიტების გათიშვამ რა თქმა უნდა, ქვეყანაში დაბნეულობა და ქაოსი გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი რუსეთის პოზიციების გამყარებას საქართველოს ტერიტორიაზე.

ე.წ. აგვისტოს ომის შემდეგ 10 წელი გავიდა თუმცა, რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართულებით კვლავ აქტიურად ვრცელდება მათთვის ხელსაყრელი ნარატივები, ამისათვის კი რამდენიმე გზას მიმართავენ. დროთა განმავლობაში რუსულმა მხარემ განავითარა ტექნოლოგიები, რომელსაც არა მხოლოდ სქართველოს, არამედ სხვა დიდი თუ მცირე სახელმწიფოების, მათ შორის აშშ-ის წინააღმდეგაც იყენებს. დღესდღეობით, საქართველოსთან მიმართებით რუსეთის ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტები შესაძლოა ხუთ ძირითად ნაწილად დაიყოს:

1. პოლიტიკური ინსტრუმენტები;
2. ეკონომიკური ინსტრუმენტები;
3. სამხედრო ინსტრუმენტები;
4. საინფორმაციო ინსტრუმენტები;
5. სოციალური ინსტრუმენტები.

ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ საინფორმაციო ინსტრუმენტს, რომელიც რუსეთის მხრიდან ინტენსიურად გამოიყენება. როგორც ცნობილია, ონლაინ მედიაში ყველაზე ხშირად „ინფომაციის გათეთრების“ მეთოდს მიმართავს, რისთვისაც ბოტებს, ტროლებს და სხვა მრავალი სახის საშუალებას იყენებს. გამოკითხული ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რუსული მხარე განსაკუთრებით აქტიურდება მაშინ, როდესაც საქართველო ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადადის. ამასთან დაკავშირებით კი იხსენებენ ქართულ საინფორმაციო სივრცეზე შემოტევებს ასოცირების

ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პერიოდში. ამ დროს ხდებოდა რუსული ნარატივების გავრცელება, რაც თავისთავად ანტიდასავლურ მესიჯებს ითვალისწინებდა.

როგორც ექსპერტი დავით ძიძიშვილი განმარტავს, რუსეთი საკმაოდ ხშირად მიმართავს „ინფორმაციის გათეთრების“ მეთოდს, რისთვისაც ძირითადად, ონლაინ მედიას იყენებს. როგორც უკვე აღინიშნა, გარკვეულ შემთხვევებში ონლაინ მედია წყაროს დაზუსტების საშუალებას არ იძლევა, ამიტომ „ფეიქ ექაუნთების“ შექმნით ისინი ქმნიან წყაროს, რომელიც ავრცელებს ყალბ ინფორმაციას, ხოლო მათივე მართული საინფორმაციო სააგენტოები კი უზრუნველყოფენ ამავე ინფორმაციის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას. აღნიშნულ მეთოდს საკმაოდ ხშირად და შეიძლება ითქვას, წარმატებით იყენებდნენ უკრაინასთან კონფლიქტის ესკალაციის და მის შემდგომ პერიოდში.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ხშირად რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომი არა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან, არამედ სხვა ლოკაციებიდან მომდინარეობს, ამისათვის კი ძირითადად, ონლაინ მედიას იყენებენ, რადგან იმის გარკვევა თუ საიდან მოდის საფრთხე საკმაოდ რთული დასადგენია. მაგალითად, საქართველოსთან დაკავშირებით იყო შემთხვევა, როდესაც ონლაინ სივრცეში გავრცელდა თალიბანის ვიდეო, სადაც ქვეყანას ჯიჰადით ემუქრებოდნენ. საბოლოოდ კი გაირკვა, რომ აღნიშნული ვიდეო რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიიდან იყო გავრცელებული (ძიძიშვილი, 2018).

„რუსებმა 2014 წლის შემდეგ საინფორმაციო ტექნოლოგიები ისე განავითარეს, რომ ბოტები და საინფორმაციო სააგენტოები წამის მეათასედების ინტერვალით დებენ ერთი და იმავე ინფორმაციას იმისათვის, რომ პირველადი წყაროს დადგენა შეუძებელი იყოს. გამომდინარე იქიდან, რომ წყაროს იდინტიფიცირება არის ძალიან რთული, ნეგატიური ინფორმაციის დიდი ნაწილი უფრო მეტად გვხვდება ონლაინ მედიაში ვიდრე კლასიკური ფორმის მედია სივრცეში“ - აღნიშნავს დავით ძიძიშვილი (2018).

5.2 სოციალური მედიის როლი რუსული დეიზნფორმაციის პირობებში

დღეს, 2018 წელს კი საქართველო შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფება, რადგან ინფორმაციული უსაფრთხოების როლი და მნიშვნელობა სამთავრობო დონეზე დაფიქსირდა. გარდა ამისა, ამუშავდა სხვადასხვა არასამთავრობო თუ მედია ორგანიზაცია, რომლებიც კონკრეტულად ცრუ ინფორმაციის ამოცნობაზე და მისი სიყალბის გამოაშკარავებაზე არის ორიენტირებულები. ინფორმაციის თავისუფლების და განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელი ლევან ავალიშვილი აღნიშნავს, რომ დეზინფორმაციისთვის სოციალური ქსელების გამოყენება კრემლის ნოუჰაუს წარმოადგენს. მისი თქმით, სოციალური ქსელები ძირითადად, განწყობის შესაცვლელად გამოიყენება, რისთვისაც ღია გზავნილები აუცილებელი არ არის, რადგან კრემლის პორპაგანდა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგიერთ ქვეყანაში რუსული პროპაგანდა არის ღია და პრო-ევრაზიული, მაგრამ საქართველოში ის არაპირდაპირი გზებით ვრცელდება და საზოგადოების დაყოფაზეა ორიენტირებული (ავალიშვილი, 2018).

დღეს არსებულ ონლაინ გამოცემებს თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ მათი მკითხველები ძირითადად, სოციალური მედიის წარმომადგენლები არიან. შესამჩნევია თუ რა ინტენსივობით ხდება ამა თუ იმ საინფრომაციო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული სიახლის სოციალურ ქსელებში გაზიარება, კერძოდ Facebook-ზე. შესაძლოა ითქვას, რომ 2018 წლიდან შედარებით მცირდება ტრადიციული მედია საშუალებების აქტიური მომხმარებლების რაოდენობა და კიდევ უფრო იზრდება ონლაინ მედიის მნიშვნელობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ დირექტორის მოადგილე ხატია ჯინჯიხაძე აღნიშნავს, რომ სოციალური მედია დეზინფორმაციის გავრცელების მთავარი პლატფორმაა, მათ შორის რუსეთის ფედერაციისთვის. აქვე განმარტავს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილია ექსპერტთა ჯგუფები, რომლებიც აკონტროლებენ ყალბი ნიუსების გავრცელებას და ამ კუთხით ასევე თანამშრომლობენ Facebook-თან. „ვფიქრობ, გარკვეული ცვლილება ამ მხრივ საქართველოშიც უნდა განხორციელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ ყალბი ნიუსების

მსხვერპლნი. აშკარაა, რომ რუსული სოციალური ქსელების მომხმარებლები გაცილებით უფრო მოწყვლადები არიან რუსული პროპაგანდის მიმართ, თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებს, „ფეისბუქი“ იმარჯვებს რუსულ სოციალურ ქსელებზე. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დროთა განმავოლბაში თავად „ფეისბუქი“ ხდება საფრთხის შემცველი, რადგან რუსული პროპაგანდის გამავრცელებელი მედია საშუალებების საკმაოდ დიდ ნაწილს იზიდავს, რის გამოც რამდენიმე განხილვაც კი მოეწყო ამერიკულ კოგრესში” - განმარტავს ხატია ჯინჯიხაძე (2018).

როგორც ცნობილია, საინფორმაციო ომის პირობებში ონლაინ მედიის საშუალებით წინასწარ განსაზღვრული ნარატივები ვრცელდება. კერძოდ, რუსული მხარის მიერ ხშირია ფოტო და ვიდეომანიპულაციები, რომელთა საშუალებითაც ანტიდასავლური მესიჯები ვრცელდება. 2018 წლის 14 ივნისს, ერთ-ერთი Facebook გვერდის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია დასავლეთის სკოლებში ბიჭებისთვის კაბის ჩაცმის უფლების მიცემის შესახებ, რომელსაც საილუსტრაციოდ თან ერთვოდა კაბაში გამოწყობილი სკოლის მოსწავლე ბიჭების ფოტო. ბლოგში კი საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ ცდილობს ლიბერალური სისტემა „კაცურობის“ შეკვეცას, რათა ქალებმა კონკურენციის გაწევა შეძლონ. თუმცა, როგორც „მითების დეტექტორმა“ დაადგინა, გამოქვეყნებულ ფოტოზე ბრიტანეთის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეების საპროტესტო აქცია იყო გამოსახული, რომლის დროსაც ბიჭებმა თანაკლასელი გოგოებისაგან ნათხოვარი კაბები ჩაიცვეს და ამ ფორმით ზაფხულის ცხელ დღეებში მოკლე შორტებით სიარულზე სკოლის ადმინისტრაციის უარი გააპროტესტეს (ხოშტარია, 2018). აღნიშნული შემთხვევიდანაც კარგად ჩანს, თუ რა ფორმით ცდილობს ერთ-ერთი მთავარი დეზინფორმატორი საქართველოში ყალბი ინფორმაციის გავრცელებას და საზოგადოებაში დასავლეთის შესახებ აგრესიული განწყობის თუ დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ რუსული მხარე საქართველოსთან დაკავშირებით 2018 წელსაც ინარჩუნებს აქტიურ პოზიციას როგორც ქართულ, ისე რუსულ მედიაში, რაც შესაძლოა 11-12 ივლისს დაგეგმილ ნატოს სამიტსაც უკავშირდებოდეს. ბოლო პერიოდში მოსკოვი ღიად აცხადებს, რომ შესაძლოა საქართველო ნატო-ში სამოქმედო გეგმის - მაპ-

ის მინიჭების გარეშე მიიღონ, რაც მისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. აქედან გამომიდნარე, მედიასივრცეში გაჩნდა პროვოკაციული მესიჯები, რომლის ავტორიც რუსული მხარე გახლდათ. მაგალითად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცხინვალის რეჟიმის ე.წ. პრეზიდენტის კომენტარი იყო, სადაც საუბრობდა რუსებთან ერთად დაგეგმილ ქმედებებზე, რომელთაც იმ შემთხვევაში გახაროციელებდა, თუ ნატო-ს ძალები მისი „რესპუბლიკის საზღვრებთან“ გამოჩნდებოდნენ.

როგორც ჩანს, დეზინფორმაცია ონლაინ პლატფორმებზე უკვე წლებია, რაც თავს იმკვიდრებს. შედეგად კი ვიღებთ მოქალაქეებს, რომლებიც ცრუ ინფორმაციის წყაროს ლეგიტიმურად მიჩნევენ, ხდება მათი შეცდომაში შეყვანა, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. დეზინფორმაციის გავრცელების მასშტაბების ზრდა მედია ბაზარზე შესვლის გამარტივებასაც შეიძლება უკავშირდებოდეს. სოციალური მედია ხელს უწყობს მომხმარებლებს შორის ინფორმაციის გაცვლას გადამოწმების, გაფილტვრისა და რედაქტირების გარეშე. სწორედ ზემოაღნიშნულზე საუბრობს ბ. ბაიალი საკუთარ ნაშრომში, როდესაც ამბობს, რომ სოციალური მედია კომუნიკაციის სულ უფრო და უფრო კარგი საშუალება ხდება. აღნიშულის მიზეზად კი დაბალ და ხელმისაწვდომ გადასახადებს, სხვადასხვა სახის სამიზნე აუდიტორიას, გლობალურ წვდომას და ინფორმაციის გავრცელების უპრეცედენტო სისწრაფეს ასახელებს. მისივე თქმით, თითოეული ეს ფაქტორი სხვადასხვა აქტორს სოციალური მედიის საკუთარი მიზნების შესაბამისად გამოყენებას უწყობს ხელს (Biały, 2017). საქართველოს შემთხვევაში კი ეს ყველაფერი ტრადიციული მედია საშუალებების მომხმარებელთა რაოდენობის შემცირებისა და ონლაინ მედიის პოპულარობის ზრდის ფონზე ხდება.

VI თავი - სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

6.1 სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზიების მართვის საბჭოს გაუქმება და მისი სამომავლო შედეგები

ეროვნული უსაფრთხოების კუთხით, საინფორმაციო ომი საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს, რის წინააღმდეგაც შესაბამისი პოლიტიკის გატარება არის აუცილებელი. საჭიროა, რომ სამთავრობო ორგანოები ქვეყნის როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეების წინააღმდეგ აქტიურად მუშაობდნენ, რათა ერთიანი სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება დროულად გახდეს შესაძლებელი. როგორც ცნობილია, საქართველოში არსებობდა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, რომელიც წარმოადგენდა პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს და შექმნილი იყო სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ქვეყნის სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის, აგრეთვე, ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციის მართვის მიზნით უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად. "საქართველოსთვის, ისევე როგორც ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოსთვის ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანეს ამოცანათა კატეგორიას განეკუთვნება. უსაფრთხოების უზრუნველყოფა უკავშირდება ქვეყნის წინაშე მდგარი რისკებისა და გამოწვევების დროულ იდენტიფიცირებას, ზუსტ შეფასებას და მათი პრევენციის მიზნით სწორი პოლიტიკის შემუშავებას, რაც უწყვეტი და თანმიმდევრული პროცესის შემთხვევაშია შესაძლებელი" (www.crisis.gov.ge). შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა კომპლექსური პროცესია, რომელიც რამდენიმე საფეხურისგან შედგება და რეგულირდება „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონით.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად სფეროებს მიეკუთვნება:

- სახელმწიფო თავდაცვა;

- საგარეო უსაფრთხოება;
- შიდა უსაფრთხოება;
- სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება;
- ეკოლოგიური და ენერგეტიკული უსაფრთხოება;
- ინფორმაციული უსაფრთხოება;
- მართლწესრიგი.

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო პრემიერ-მინისტრის დავალებით ახორციელებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში არსებული შიდა და გარე საფრთხეების შეფასებას, ორგანიზებას უწევდა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფიო სტრატეგიის შემუშავებას და კოორდინაციას უწევდა ეროვნული დონის ისეთი კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებას, როგორებიც არის:

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
- საფრთხეების შეფასების დოკუმენტი;
- უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიები.

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. 2016 წლიდან 2017 წლამდე მისი ორგანიზებით, არაერთი შეხვედრა გაიმართა როგორც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს, ისე ნატო-ს წარმომადგენლებთან. მაგალითად, 2016 წელს ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის წარმომადგენელი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის კოორდინაციით შემუშავებულ საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის პროექტს გაეცნო და აღნიშნა, რომ სტრატეგია შეესაბამებოდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ვარშავის სამიტზე მიღებულ კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ დოკუმენტებს. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ აღნიშნული ხელს შეუწყობდა ნატოსა და საქართველოს შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განვითარებას (სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, 2016). გარდა ამისა, ამავე პერიოდში,

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმის შეკრებაც გაიმართა. ფორუმის მონაწილე სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს საბჭოს აპარატში შემუშავებული საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა წარედგინათ, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალურ დოკუმენტს წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებულ პრობლემებს, გამოწვევებსა და საფრთხეებს და ასევე განამტკიცებს მათი აღკვეთისა და შემცირების ზომებს (სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, 2016).

როგორც ჩანს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო იმ საფრთხეების წინააღმდეგ, რაზეც აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში ვიმსჯელეთ, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. გამოკითხული ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კრიზისების მართვის საბჭოს გაუქმება საქართველოსთვის არც თუ ისე დადებითი შედეგის მომტანია, რადგანაც უშიშროების საბჭოს გაუქმების შემდეგ ქვეყანაში აღარ დარჩება უწყება, რომელიც კონკრეტულად, საინფორმაციო საფრთხეებისა და რისკების იდენტიფიცირებაზე იმუშავებს. "საქართველოში მხოლოდ ორი პასუხისმგებელი ორგანო არსებობდა, რომელთაც უსაფრთხოებაზე რაღაც ტიპის პასუხისმგებლობა ჰქონდა აღებული: ერთი, ეს არის ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც პრეზიდენტის ხელახალი არჩევის შემდეგ გაუქმდება და მეორე, ეს იყო სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, რომელსაც ასევე ჰქონდა გარკვეული პსუხისმგებლობები ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე და მათ შორის უსაფრთხოების ისეთ ელემენტებზე, როგორიც არის სამოქალაქო კრიზისები" - აღნიშნავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი (ძიძიშვილი, 2018). მისივე თქმით, როდესაც გარკვეული ორგანო დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს სათანადოდ ვერ ასრულებს, გაუქმება გამოსავალი არ არის, რადგან მისმა გაუქმებამ სახელმწიფო შესაძლოა უარესი შედეგის წინაშე დააყენოს. აქედან გამომდიარე, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე იმ მიმართულებების განსაზღვრა იქნებოდა უმჯობესი, სადაც ე.წ. ჩავარდნები არსებობდა (2018).

აღსანიშნავია, რომ კრიზისების საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ყველა მთავარი მოთამაშე. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანი იყო და ხელს უწყობდა სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს, იმდენად, რამდენადაც სწორედ კერძო სექტორი ფლობს საქართველოს კრიტიკული ინფორმაციული სისტემების უდიდეს ნაწილს. სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოს შეხვედრების დროს ერთ-ერთ მთავარ საკითხს ინფორმაციული უსაფრთხოება წარმოადგენდა, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა სახელწიფოს დელეგაციებში ძირითადად, ინფორმაციული ტექნოლოგიის დეპარტამენტებისა და კიბერუსაფრთხოებისა და ტელეკომუნიკაციების ცენტრების ხელმძღვანელები იყვნენ წარმოდგენილნი, რომელთა საქმიანობის სფეროსაც ქვეყნის ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს (www.crisis.gov.ge).

მიუხედავად მნიშვნელოვანი ფუნქციებისა, აღნიშნული საბჭოს მუშაობა მხოლოდ ოთხ წელს (2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე) გაგრძელდა. 2018 წლის პირველივე თვეს, საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო გაუქმდა. დღეს არსებული საფრთხეების გათვალისწინებით კი შესაძლოა ითქვას, რომ აღნიშნული საბჭოს გაუქმება სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ქვეყანა ყველაზე მეტად იდგა ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სტრატეგიის შემუშავების საჭიროების წინაშე.

6.2 საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე, უშიშროების საბჭოს გაუქმება

კიდევ ერთი ორგანო - ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი, საქართველოს კონსტიტუციის 99-ე მუხლის თანახმად, სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის შეიქმნა და მას ამ დრომდე საქართველოს პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. „ეროვნული უშიშროების საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც

უფლებამოსილია განიხილოს „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული საკითხები უმაღლესი დონის გადაწყვეტილებების მოსამზადებლად“ (საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ, 2004).

საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე, 2018 წლის შემოდგომაზე ეროვნული უშიშროების საბჭო გაუქმდება. ამ ცვლილებებს მოწინააღმდეგეთა საკმაოდ დიდი წრე გამოუჩნდა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ უშიშროების საბჭო დღევანდელი მდგომარეობით, არის ერთადერთი ორგანო, სადაც უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები იკრიბებიან და კონსულტაციების შედეგად ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ. გარდა ამისა, საბჭოს გაუქმება პრეზიდენტს ქვეყნის უსაფრთხოებაში ფუნდამენტურ უფლებებს ართმევს და მას მხოლოდ ნომინალურად უტოვებს უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციას; პრემიერ-მინისტრს ანიჭებს შესაძლებლობას პარლამენტთან შეუთანხმებლად მიიღოს გადაწყვეტილება საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ; აუქმებს უსაფრთხოების მაკოორდინირებელ ორგანოსა და ფუნქციებს (რაქვიაშვილი, 2018).

საბჭოს თითოეული წარმომადგენელი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მუშაობს ქვეყნის საინფორმაციო უსაფრთხოებაზე. ამასთანავე, ჰიბრიდული საფრთხეების ფონზე, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებზეც საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაზე და მასთან დაკავშირებული ერთიანი ეროვნული მიდგომის ჩამოყალიბებაზე მსჯელობა. გარდა ამისა, საბჭოს სხდომების მიღმა საქართველოს პრეზიდენტი არაერთხელ შეხვედრია უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხების ექსპერტებსა და პოლიტოლოგებს, რომლებთან ერთადაც ძირითადად, საინფორმაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულა. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, 2018 წლის ოქტომბერში ეროვნული უშიშროების საბჭო უქმდება, მის ნაცვლად კი, საომარი მდგომარეობისას ომის დასრულებამდე, ეროვნული თავდაცვის საბჭო ჩამოყალიბდება, რომელსაც პრეზიდენტი უხელმძღვანელებს. ქვეყნის უსაფრთხოებაზე მომუშავე

ორგანოს გაუქმების გამო მთავრობის წევრებისა და ექსპერტების დიდ ნაწილში კრიტიკული პოზიციები გაჩნდა. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში უშიშროების საბჭოს გაუქმების ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ამავე საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილია, რომელიც აღნიშნავს, რომ, როდესაც ქვეყნის 20% ოკუპირებულია და რუსეთის ფედერაცია არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას საქართველოს წინააღმდეგ ძალის არგამოყენების შესახებ, უშიშროების საბჭოს გაუქმება შეცდომაა (რაქვიაშვილი, 2018).

"ვითარებაში, როდესაც ქვეყანა 24 საათის განმავლობაში უნდა ზრუნავდეს უსაფრთხოებაზე, საკონსტიტუციო კომისია აუქმებს უშროების საბჭოს, რომელიც არის უმაღლესი პოლიტიკური სათათბირო ორგანო, სადაც თავდაცვის ეროვნული უსაფრთხოების, ომისა და მშვიდობის საკითხები განიხილება და ქვეყანას ქმედითი მთავარსარდლის გარეშე ტოვებს," - აღნიშნავს უშიშროების საბჭოს მდივანი (2018).

ამავე პოზიციას იზიარებს საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი - „ისეთ მასშტაბურ გამოწვევებთან გასამკლავებლად, როგორიც არის ინფორმაციული უსაფრთხოება, საჭიროა ბრძოლის მეთოდების მუდმივი განვითარება და სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის შექმნა, რომლის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა უშიშროების საბჭო, მათ შორის თანამშრომლობის თვალსაზრისითაც“ (უსუფაშვილი, 2018).

ზემოაღიშნულს ადასტურებს დავით ძიძიშვილიც, რომელიც აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს თითოეულ დონეზე სჭირდება საინფორმაციო უსაფრთხოების ქმედითი მექანიზმი, რაშიც ინფორმაციის მოძრაობა იგულისხმება. “უნდა განისაზღვროს არის გარკვეული ინფორმაცია სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი თუ არა. ამისათვის კი საჭიროა ქვეყანაში მაკოორდინირებელი სტრუქტურის არსებობა. არ აქვს მნიშვნელობა აღნიშნული სტრუქტურა უშიშროების საბჭოს ქოლგის ქვეშ იმუშავეს, პრემიერ-მინისტრი დაიქვემდებარებს თუ სრულიად ცალკე - დამოუკიდებელ სტრუქტურა იქნება (ძიძიშვილი, 2018).

„სახელმწიფო აღიარებს, რომ საინფორმაციო გარემოში არსებობს გამოწვევები და პროპაგანდა არის ერთ-ერთი მთავარი პრპობლემა, თუმცა მასთან დასაპირისპირებლად არაფერს ვაკეთებთ. საუბრობენ ერთიან სამთავრობო მიდგომაზე, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის შექმნაზე, რაც კარგია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაფუძნებული იქნება საერთო ეროვნულ დონეზე და არა პოლიტიკურ ინტერესებზე, კერძოდ, კონკრეტული პარტიის, ფრაქციისა თუ პოლიტიკური პერსონის მხარდასაჭერად, არამედ ეს უნდა იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური საერთო ეროვნული ნარატივის მხარდასაჭერი კოორდინირება“ - აღნიშნავს დავით ძიძიშვილი (2018).

გამოკითხულ ექსპერტთა ნაწილი ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესების კიდევ ერთ გზად “ტოტალური თავდაცვის” მოდელის შექმნას განიხილავს. საქართველოს ხელისუფლება და უპირველესად, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა, ამზადებს ახალ კონცეფციას ტოტალური თავდაცვის სახელით, რომელიც ქვეყნის თავდაცვისთვის ბრძოლაში, სამხედროების გარდა, თითოეული მოქალაქის პოტენციალის გამოყენებას გულისხმობს. აღნიშნული მოდელი გამოიყენება ბალტიისპირეთის ქვეყნებში და სინგაპურში. ტოტალური თავდაცვის ესტონურ მოდელში განიხილება ხუთი კომპონენტი: ფსიქოლოგიური, სამოქალაქო, ეკონომიკური, სამხედრო და სამოქალაქო მზადყოფნა. ასევე ხუთი კომპონენტისგან შედგება სინგაპურის მოდელიც და მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია: სოციალური და საინფორმაციო უსაფრთხოება და ფსიქოლოგიური მზადყოფნა. როგორც ძიძიშვილი განმარტავს, სინგაპურის მოდელი ზრუნავს ქვეყნის ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე, რაზეც პასუხისმგებლობას სხვადასხვა მიმართულებებს უნაწილებს, მაგალითად: განათლების სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს და ა.შ. თუმცა, აქვე მიუთითებს, რომ ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებლობის თავდაცვის სამინისტროზე დაკისრება არც თუ ისე დადებითი შედეგის მომტანი იქნება და აღნიშნული პრობლემის მასშტაბებიდან გამომდინარე დამოუკიდებელი სტრუქტურის შექმნას უჭერს მხარს (2018).

როგორც ირკვევა, კრიზისების მართვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოების გაუქმების შემდეგ, ინფორმაციული უსაფრთხოება, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება პასუხისმგებელი ორგანოების გარეშე დარჩა. არსებული მდგომარეობის გათვალისწიებით კი, საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომი არა მხოლოდ მედიის, არამედი მრავალი სხვა არხის მეშვეობით მიმდინარეობს, რომელთაც დადგენა, ანალიზი და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრული ხელისუფლების კომპეტენციაში შედის, მათი მოქმდების ფარგლებში, უშუალოდ ამ საკითხზე საჭირო დროის დათმობა ვერ მოხდება. საინფორმაციო ომთან დაკავშირებული პრობლემების მასშტაბურობიდან გამომდინარე კი საჭიროა ქვეყანაში არსებობდეს ორგანო, რომელიც კონკრეტულად ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე იქნება პასუხისმგებელი. მაშინ როდესაც, საუბარია ერთიანი სამოქმედო გეგმის, სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებაზე, ქვეყანაში უნდა ძლიერდებოდეს უწყება, რომელიც დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური კადრებით, რათა ამ მიმართულებით გადაიდგას სწორი და მიზანმიმართული ნაბიჯები. თუმცა, არსებული სურათი სრულიად განსხვავებულია - ქვეყანა რჩება ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს გარეშე.

დასკვნა

როგორც ირკვევა, საგარეო პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად გარე ძალები ტრადიციული, სამხედრო ძალის პარალელურად, ე.წ. „რბილი ძალის“ მეთოდებსაც უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ. ამ მეთოდის განსაკუთრებით ეფექტურად გამოყენება იდეოლოგიური შეღწევის და ღირებულებების დამკვიდრების მიზნით ხდება, რისთვისაც როგორც წესი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იყენებენ. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით კი ამ მხრივ ყველაზე ეფექტურ ინსტუმენტად ონლაინ მედია ვლინდება. ტრადიციული ფორმის მედია საშუალებებისგან განსხვავებით, ონლაინ მედია მუდმივად დეზინფორმაციის მოგერიების პროცესშია.

გარე ძალების მიერ წარმოებულ პროპაგანდას საქართველში არაერთი საყრდენი აქვს. თუ გავრცელებული მითებისა და დეზინფორმაციის შინაარსით ვიმსჯელებთ, ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს ულტრანაციონალისტური მოძრაობები წარმოადგენს, რომლებზე ზეგავლენაც ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების მანიპულირებით ხორციელდება. ონლაინ სივრცეში გავრცელებული ცრუ/ყალბი ინფორმაცია სწორედ ანტიდასავლურ ნარატივებს უკავშირდება, რაშიც ძირითადად, ეროვნული ღირებულებების შეურაცხყოფა იგულისხმება. აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში გავრცელებული დეზინფორმაციის მთავარი მიზანი ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესის შეზღუდვა და დასავლური პოლიტიკისადმი აგრესიის გაჩენაა.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას და ამ პროცესისათვის საჭირო რეფორმებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში, მართალია დაბალი ინტესივობით, მაგრამ საზოგადოებაში მაინც შეინიშნება ანტიდასავლური განწყობების ზრდა. აღნიშნული ტენდენციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შესაძლოა სწორედ ონლაინ მედიით გავრცელებული პროპგანდა იყოს. როგორც კვლევამ აჩვენა, ანტიდასავლური

ნარატივების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ სოციალურ მედიაში ვრცელდება და ეს ყველაფერი ისე ვითარდება, რომ რიგირთი მომხმარებელი სრულიად გაუცნობიერებლად ხდება პროპაგანდის მსხვერპლი. შედეგად კი ვიღებთ საზოგადოების გარკვეულ ფენას, რომლისთვისაც დასალეთი ნაკლებად მიმზიდველია.

საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომში მთავარი ადგილი რუსეთს უკავია. მაგალითად, კრემლის ინფორმაციული მანქანა გავლენას ახდენს მასმედიაზე, პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე. რუსეთის "რბილი ძალის" პოლიტიკის ძირითადი წყარო პროპაგანდისტული, აგრესიული, ანტიდასავლური საინფორმაციო კამპანიაა. საქართველოში არსებულ პლურალისტურ მედიაგარემოში პრო-კრემლისტურ პროპაგანდასთან შედარებით, გაცილებით მცირე რესურსებით ფუნქციონირებადი საინფორმაციო წყაროები დეზინფორმაციის მასშტაბურ ნაკადებს სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევენ. აქედა გამომდიარე, ქვეყნისთვის უმჯობესია არა კოტრ-პროპაგადისტული ნაბიჯების გადადგმა, არამედ სხვა, უფრო ეფექტური, გრძელვადიანი და სერიოზული პოლიტიკის შემუშავება, რაც შესაძლოა განათლების სფეროდანაც იწყებოდეს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დეზინფორმაციის გავლენა საკმაოდ დიდია მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელიც კარგად ფლობს რუსულ ენას და ახალ ამბებს ძირითადად, რუსული საინფორმაციო საშუალებებით ეცნობა. მოსახლეობის ამ კონკრეტული სეგმენტისთვის საჭიროა სპეციალური კოტენტის შექმნა, რომელიც ქართული მედიასივრცისადმი მის დაიტერესებას გამოიწვევს და შედეგად, მიიღებს ინფორმაციას ქვეყანაში არსებული რეალური ვითარების შესახებ და არა ინფორმაციას, რომელიც გარე ძალების მიერ კონტროლდება და პირველ რიგში, მათ სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეესაბამება.

მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებითაც. იკვეთება არსებული პოლიტიკის გაძლიერების და გაფართოების საჭიროება და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმის ოპტიმიზაცია. ამ შემთხვევაში მხოლოდ მედია კონტენტის შექმნა უკვე აღარ არის საკმარისი და მთელი რიგი

სახელმწიფო პროგრამების შექმნისა და განხორციელების აუცილებლობა იკვეთება. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის ბარიერის არსებობა, რაც პირველ რიგში ხელს უწყობს დეზინფორმაციისადმი მოწყვლადობას და ასევე, პრობლემას ქმნის საქართველოს დანარჩენ ნაწილთან ინტეგრაციის კუთხით. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს რეგიონებში მომუშავე არასამათავრობო ორგანიზაციებისა თუ მედიასაშუალებების სააერსებო რესურსებიც.

პროპაგანდის მოსახლეობაზე გავრცელების ერთ-ერთ მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად მედიაწიგნიერების დაბალი დონე იკვეთება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ჟურნალისტების საქმიანობას და ამ სფეროში არსებულ ხარვეზებს, არამედ მოსახლეობის მიერ ინფორმაციის გაფილტვრის, კრიტიკული აზროვნებისა და ობიექტურად შეფასების უნარების არარსებობას. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, საჭიროა სახელმწიფო დონეზე განისაზღვროს მედიაწიგნიერების მნიშვნელობა და ხელისუფლებამ შესაბამისი ნაბიჯებიც გადადგას. აუცილებელია, რომ შედეგად მივიღოთ „კრიტიკული“ საზოგადოება, რომელიც ონლაინ მედიით გავრცელებულ თითოეულ ინფორმაციას გაცნობის მომენტიდან ლეგიტიმურად არ მიიჩნევს.

ასევე, კვლევაში ნათლად იკვეთება, რომ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ინფორმაციულ ომთან დაკავშირებით სახელმწიფოს არ აქვს ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა, რასაც ეროვნული სტრატეგიის არარსებობაც ადასტურებს. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც დაიწყებს სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმას და ინფრომაციულ ომთან დაკავშირებული საფრთხეების ანალიზს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის შექმნა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, სადაც მრავალი გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანი უნდა ჩაერთოს. აქედან გამომდინარე, უმჯობესია, შეიქმნას სპეციალური ორგანო, რომელიც უშუალოდ ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე იქნება პასუხისმგებელი.

როგორც ხელისუფლების, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან საუბრისას ირკვევა, სახელმწიფოს მხრიდან დეზინფორმაციის, როგორც მნიშვნელოვანი

საფრთხის იდენტიფიცირება და მისი სათანადოდ შეფასება არ ხდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის დაბალი დონე. მიუხედავად იმისა, რომ დეზინფორმაციას ყველა სერიოზულ საფრთხედ აფასებს, მისი ოფიციალურად აღიარება ჯერ არ მომხდარა. მაშინ, როდესაც პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე პასუხისმგებლობას რამდენიმე სახელმწიფო ორგანო ინაწილებს, მათ შორის კოორდინაცია მაინც არ ხდება და შესაბამისად, პორბლემაც უგულვებელყოფილია.

საბოლოოდ, კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ონლაინ მედიაში წარმატებით ხდება მითების გავრცელება და გამოიკვეთა მათი სახეები/ფორმები. აშკარაა, რომ დეზინფორმაციის თვალსაზრისით, მითების გავრცელება კარგად მუშაობს და ხშირად მიზანსაც აღწევს. საქართველოში არსებობს რამოდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია რომელიც ცდილობს ამ მითების გამოვლენას და გაშიფვრას, თუმცა, ასიმეტრიული წინააღმდეგობის პირობებში, აღნიშნული ორგანიზაციები სრულად ვერ უმკლავდებიან ამ პრობლემას. ამიტომ, საჭიროა მსგავსი მითების იდენტიფიცირება და იმის განსაზღვრა, თუ რა სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესები შეიძლება დაზიანდეს მათი გავრცელების შედეგად.

რეკომენდაციები

- აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დეზინფრომაციის, როგორც საფრთხის აღიარება და მის წინააღმდეგ ერთიანი ხედვის - სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც გათავლისწინებული იქნება სახელმწიფო ორგანოებს შორის თანამშრომლობა და ობიექტური ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა.

- სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოს შორის თანამშრომლობის გარდა, აუცილებელია ჩამოყალიბდეს ერთი უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კონკრეტულ საკითზე - ქვეყნის ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე.

- განათლების სექტორში უნდა მოხდეს მედიაწიგნიერების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა. საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იქნება ეს სკოლა თუ უმაღლესი სასწავლებლები, სხვადასხვა საგნებთან ინტერგრირებული ფორმით უნდა მოხდეს მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებული უნარების სწვალება.

- ქართულ მედიასივრცეში და კერძოდ, ონლაინ მედიაში უნდა მოხდეს ევროატლანტიკურ და ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების აქტიური გაშუქება. ხშირად და მოსახლეობისთვის გასაგები ფორმით უნდა ხდებოდეს იმ სიკეთეების განმარტება, რაც აღნიშნულ პროცესს მოაქვს საქართველოსთვის;

- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში ხელი უნდა შეეწყოს ქართული და ინგლისური ენების შემსწავლელი პროგრამების კიდევ უფრო განვითარებას;

- არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის უნდა შეიქმნას მედია კონტენტი, სადაც ქვეყანაში არსებული რეალური ვითარების, ერვოატალნტიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებული და ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქება მოხდება.

- მნიშვნელოვანია სამთავრობო სექტორსა და მედიას შორის არსებობდეს მჭიდრო კომუნიკაცია, რადგან მათ შორის გაჩნდეს ნდობის ფაქტორი და კრიზისულ სიტუაციებში შესაძლებელი იყოს კოოპერაცია.

- სასურველია მითების და დეზინფორმაციის წინააღმდეგ მებრძოლი მედია საშუალებების და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის ხელშეწყობა მათი საქმიანობის მასშტაბების გასაზრდელად.

ბიბლიოგრაფია

Biały, B. (2017). *The Cyber Defense Review*, 69-90.

Darczewska, J. (20014). *The anatomy of Russian.* Warsaw: Centre for Eastern Studies.

Freedom House. (2017). Retrieved from https://freedomhouse.org/report/freedom-press/2017/georgia

Hallin, B. D., & Mancini, P. (2004). *Comparing Media Systems: Three Models of Media and Politics.* Cambridge University Press.

IDFI. (2017). *საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტით შემოთავაზებული სიახლეების შეფასება.* Retrieved from https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/rule_of_law/constitutional_changes_idfi.pdf

Jentleson, B. W. (2013). *American Foreign Policy: The Dynamics of Choice in the 21st Century.* W. W. Norton, Political Science.

Molander, R. C., Riddile, A. S., & Wilson, P. A. (1996). *Strategic Information Warfare.* RAND Corporation.

Mulford, J. P. (2016). Non-State Actors in the Russo-Ukrainian War. *Connections*, 89-107.

NDI. (2018). *Public attitudes in Georgia*. Retrieved from https://drive.google.com/file/d/1AxUiJ5rTkMe6jv6hmiFuKeWDsZkVOcO9/view

Schroeder, R. (2018). *Social Theory after the Internet.* UCL Press.

Siebert, F., Peterson, T., & Schramm, W. (1956). *Four Theories of the Press.*

Wither, J. K. (2016). Making Sense of Hybrid Warfare. *Partnership for Peace Consortium of Defense Academies and Security Studies*, pp. 73-87.

ავალიშვილი, ლ. (2018, თებერვალი). (ა. მესხი, Interviewer)

ავალიშვილი, ლ., ლომთაძე, გ., & ქევხიშვილი, ს. (2016, სექტემბერი 1). *კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა.* Retrieved from www.idfi.ge: https://idfi.ge/ge/informational-war-of-kremlin-against-georgia-the-necessity-of-having-state-policy-against-propaganda

გელავა, ს., & ქურდაძე, დ. (2017, ოქტომბერი 30). Retrieved from http://www.mythdetector.ge: http://www.mythdetector.ge/ka/myth/fake-news-tanmkhleb-potoze-sastumrodan-gadmovardnili-turketis-mokalakea

გელაშვილი, მ. (2017). Retrieved from http://www.mythdetector.ge: http://www.mythdetector.ge

კანონი "ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ". (2012, June 5). საქართველოს პარლამენტი.

კინწურაშვილი, თ. (2018, თებერვალი). (ა. მესხი, Interviewer)

კოენი, ა. (2015). ჰიბრიდული ომი და მისი გავლენა ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებზე. თბილისი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

კუპრაშვილი, ნ. (2018, თებერვალი). (ა. მესხი, Interviewer)

მგალობლიშვილი, გ., ქუთელია, ბ., გურული, ი., & ევგენიძე, ნ. (2016). *ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის.* თბილისი: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი.

მედიის განვითარების ფონდი. (2018). Retrieved from http://mdfgeorgia.ge/eng/home/

რაქვიაშვილი, დ. (2018, თებერვალი). (ა. მესხი, Interviewer)

საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია. (2015). Retrieved from www.crisis.gov.ge: http://crisis.gov.ge/ge/page/about-council

სალაძე, ს. (2018, თებერვალი). (ა. მესხი, Interviewer)

"საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ". (2005, ივნისი 2). საქართველოს პარლამენტი.

"საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ". (2005, january 18). საქართველოს პარლამენტი. Retrieved from matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866

"საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ". (2004, ნოემბერი 11). საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. (2018). Retrieved from http://qartia.ge/ka

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო. (2016, ივლისი 20). Retrieved from www.crisis.gov.ge: http://crisis.gov.ge/ge/post/shekhvedra-torsten-deriktan

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო. (2016, ივნისი 24). Retrieved from www.crisis.gov.ge: http://crisis.gov.ge/ge/post/saqartvelos-kiberusafrtkhoebis-forumis-morigi-shekreba

უსუფაშვილი, დ. (2018, თებერვალი). (ა. მესხი, Interviewer)

ფხალაძე, თ. (2018, თებერვალი). (ა. მესხი, Interviewer)

ქალდანი, თ. (2018, თებერვალი). (ა. მესხი, Interviewer)

ძველიშვილი, ნ. (2018, February 9). (ა. მესხი, Interviewer)

ძიძიშვილი, დ. (2018, June 19). (ა. მესხი, Interviewer)

ხოშტარია, ა. (2018, ივნისი 20). Retrieved from http://www.mythdetector.ge: http://www.mythdetector.ge/ka/myth/alpha-dominant-potomanipulatsia-dasavletis-skolebshi-bichebistvis-kabis-chatsmis-uplebis

ჯინჯიხაძე, ხ. (2018, თებერვალი). (ა. მესხი, Interviewer)

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE

UNIVERSITY

FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

ANA MESKHI

ONLINE MEDIA, AS A TOOL OF INFORMATION WARFARE AGAINST GEORGIA

MASTER PROGRAMM IN CONFLICTS ANALYSIS AND MANAGEMENT

In fulfillment of requirements for the degree of Master of Arts

Supervisor: Natia Kuprashvili
Associate Professor

Tbilisi 2018